

**მმართველობითი წლიური
ანგარიშგება
სს პაშა ბანკი საქართველო**

 **პაშა ბანკი**

2024

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 25 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

3 ივლისი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

სარჩევი

მენეჯმენტის განცხადება	3
წინასიტყვაობა აღმასრულებელი დირექტორისგან	5
მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები	6
ადამიანური რესურსები	9
ჩვენი თანამშრომლები	9
სწავლა და განვითარება	11
თანამშრომელთა ჩართულობა და კმაყოფილება	11
თანამშრომელთა ანაზღაურება	12
კორპორაციული მართვა	15
კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა	16
კორპორაციული მართვის პრინციპების ერთგულება	16
ეთიკის კოდექსი	17
ღია კარის პოლიტიკა	18
მმართველობის სტრუქტურა	18
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	20
აქციონერთა სტრუქტურა და სააქციო კაპიტალი	25
აქციონერთა საერთო კრება	26
საკითხები რომელიც მოითხოვს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებას	26
აქციონერის უფლებები	28
სამეთვალყურეო საბჭო	29
სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის განსაზღვრება	31
სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კრიტერიუმები	32
საბჭოს ეფექტურობის მიმოხილვა	34
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები	36
სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების დღის წესრიგი	36
სტრატეგია	38
სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები	38
დირექტორთა საბჭო	40
დირექტორთა საბჭოს წევრები	44
დირექტორთა საბჭოს კომიტეტები	48
შიდა აუდიტის დეპარტამენტი	50
ანაზღაურების პოლიტიკა დირექტორებისთვის	50
საბჭოს გადაწყვეტილებისთვის განკუთვნილი საკითხების გრაფიკი	55
რისკი და კონტროლის მექანიზმები	59
რისკის ფუნქცია	62
რისკის აპეტიტი	64
რისკების მართვა და კაპიტალის განაწილება	65
რისკის შერბილების სტრატეგია	71
რისკის ანგარიშგება	72
სტრუქტურა და სცენარული ანალიზი	72
ფინანსური მაჩვენებლები	74



მენეჯმენტის განცხადება

სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს დირექტორთა საბჭო ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიში მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. აღნიშნული ანგარიში თანხვედრაშია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის" მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებთან.



რამილ იმამოვი

დირექტორთა საბჭოს თავჯდომარე, გენერალური დირექტორი

წინასიტყვაობა აღმასრულებელი დირექტორისგან

2024 წელს პაშა ბანკმა საქართველომ დაიწყო ახალი სტრატეგიული ეტაპი, რომელიც ორიენტირებულია კორპორატიული სეგმენტის გაფართოებებზე. ბანკის მიზანია გახდეს სასურველი ფინანსური პარტნიორი კორპორატიული კლიენტებისთვის, გაუწიოს მათ ინდივიდუალურად მორგებული, მაღალი ხარისხის მომსახურება, და ამავდროულად, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

2024 წელი პაშა ბანკი საქართველოსთვის ფინანსური წარმატების წელი იყო, რომლის დროსაც ბანკმა ასახა მნიშვნელოვანი ზრდა მომგებიანობის მხრივ. ბანკის წმინდა მოგება 8.3 მლნ ლარი შეადგინა – 388%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით. გარდა ამისა, პაშა ბანკი საქართველოს მთლიანი სასესხო პორტფელი, კორპორატიული ობლიგაციების ჩათვლით, გაიზარდა 439 მლნ. ლარით, რაც წარმოადგენს 6%-იან ზრდას წინა წელთან შედარებით. მომხმარებელთა დეპოზიტების პორტფელი კი 36%-ით გაიზარდა და შეადგინა 394 მლნ ლარი. მოცემული ფინანსური მაჩვენებლები მიუთითებს ბანკისადმი მომხმარებელთა ლოიალურობაზე და საქართველოს ბაზარზე ამყარებს ბანკის პოზიციას, როგორც საიმედო ფინანსური პარტნიორის.

2024 წელს ბანკისთვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო სტაბილური პერსპექტივით B/B რძელვადიანი და მოკლევადიანი საკრედიტო რეიტინგის, მიღება S&P Global Ratings სააგენტოსგან.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ნოემბერში პაშა ბანკი საქართველომ სტრატეგიული პარტნიორობა გააფორმა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან. ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს ჭადრაკის განვითარებასა და პოპულარიზაციას საქართველოში და ხაზს უსვამს ბანკის მზადყოფნას ინვესტირება მოახდინოს ისეთ სფეროებში, რომლებიც ხელს უწყობს სტრატეგიული ამოცანების, დისციპლინისა და პრობლემების გადაჭრის უნარების გაუმჯობესებას.

ჩვენი აწმყო და მომავალი პროექტები ერთ მიზანს ემსახურება – გავიზარდოთ ერთად, ხელი შევუწყოთ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და წვლილი შევიტანოთ პაშა პოლიტიკის ფართო მიზნების განხორციელებაში. ჩვენ ვრჩებით სტაბილურობის, საიმედოობისა და მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისის ერთგული. ამავდროულად, ჩვენი ფოკუსია ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება და ბანკის ძირითადი ღირებულებების დაცვა. ბანკის ბიზნეს კულტურა, რომელიც აგებულია პერსონალიზებულ მიდგომაზე და კლიენტებთან ძლიერ ურთიერთობებზე, რჩება ჩვენს უდიდეს ძალად. თანამშრომლების ერთგულებითა და კლიენტების ნდობის შენარჩუნებით, დარწმუნებულნი ვართ ჩვენს შესაძლებლობებში ავაშენოთ მომავალი, რომელიც იქნება მდგრადი, კეთილდღეობის მომტანი და გამძლე.

მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები

ქვემოთ მითითებულია სს „პაშა ბანკი საქართველო“-ს ძირითადი მნიშვნელოვანი ფინანსური მონაცემები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, წინა წელთან შედარებით ჭრილში:

მოგება და ზარალი	2024	2023
	GEL'000	GEL'000
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების ზარალის შემდეგ	23,668	30,155
არასაპროცენტო შემოსავალი	14,890	11,920
არასაპროცენტო ხარჯები	(34,686)	(40,375)
მოგების გადასახადის სარგებელი/(ზარალი)	4,421	-
წლის წმინდა მოგება	8,293	1,700
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება (ზარალი)	8,293	1,700

ბალანსი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
	ლარი'000	ლარი'000

ფულადი სახსრები და მოთხოვნები საკრედიტო დანესებულებების მიმართ	242,004	101,575
კლიენტებზე გაცემული სესხები	351,500	336,106
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	81,069	65,230
სხვა აქტივები	32,355	29,461
მთლიანი აქტივები	706,928	532,372
ვალდებულებები საკრედიტო დანესებულებების წინაშე	148,701	90,139
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	394,286	288,855
სხვა ვალდებულებები	43,333	41,063
მთლიანი ვალდებულებები	586,320	420,057
საკუთარი კაპიტალი	120,608	112,315
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	706,928	532,372

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებსა და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა მოწყვლადია და მასზე გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე კრიზისები და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მშპ-ს ზრდამ 6.7% შეადგინა, საშუალოდ კი 9.5%-იანი ზრდა წინა წელთან შედარებით. ზრდის ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები იყო ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა, პროფესიული, მეცნიერული, ტექნიკური საქმიანობა, აგრეთვე, ტრანსპორტირება და დასაწყობება, ვაჭრობა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროები. წლიური ინფლაციის დონე ნარჩუნდება სამიზნე 3%-ის ქვემოთ. სამიზნე მაჩვენებელთან მიახლოებული ინფლაცია ძირითადად უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკით.

გეოპოლიტიკური სიტუაციის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ლიკვიდობის მძლავრ პოზიციებს სებ-ის ღონისძიებების დახმარებით, რომლებიც მიზნად ისახავს კრიზისულ ვითარებაში საბანკო სექტორის მდგრადობის განმტკიცებას. ბანკი აქტიურად ცდილობს უმოქმედო სესხების გონივრულ დონეზე შენარჩუნებას დროული რესტრუქტურიზაციის ღონისძიებებისა და მშობელი საწარმოსგან მიღებული მხარდაჭერის წყალობით, ასევე სესხების ამოღების მკაცრი ზომებით. ბანკი მუდმივად აკვირდება და აფასებს მიკრო და მაკროეკონომიკური მოვლენების ცვლილების გავლენას მის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე.


ადამიანური რესურსები

ჩვენი თანამშრომლები


სს ჰაშა ბანკი საქართველო უნიკალური კულტურის მქონე სამუშაო ადგილია. აქ ჩვენ ვქმნით სამუშაო გარემოს, რომელიც მორგებულია ჩვენს გამორჩეულ თანამშრომლებზე, რადგან გვჯერა, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ ბანკის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს. ჩვენ მხარს ვუჭერთ თანამშრომლებს მათ პროფესიულ განვითარებაში, ვახდენთ ინიციატივების წახალისებას, ხელს ვუწყობთ როგორც გამჭირვალე თანამშრომლობას, ასევე სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის შენარჩუნებას.

2024 წელს ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა მასობრივი საცალო დაკრედიტება, რამაც თანამშრომელთა რაოდენობის მასობრივი შემცირება გამოიწვია. ახალი სტრატეგიული მიმართულების გათვალისწინებით, რომელიც ფოკუსირებულია კორპორაციულ ბიზნესზე, ჩვენ შევიმუშავეთ ინიციატივები, რომლებიც სრულად შესაბამისობაშია ბანკის საერთო მიზნებთან. 2024-2026 წლების სტრატეგიული პერიოდის ფარგლებში, ორგანიზაციული განვითარება ბანკისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება. ჩვენი მიდგომა ემყარება საკანონმდებლო რეგულაციებთან შესაბამისობაში დარჩენასა და ამავედროულად, პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობას, ტალანტების მოზიდვის, განვითარებისა და შენარჩუნების მიზნით.

თანამშრომელთა რაოდენობა (2013-2024)




თანამშრომელთა რაოდენობის ცვლილება % (2013-2024)




ჩვენი მიზანია, სს 'პაშა ბანკი საქართველო' გახდეს სასურველი დამსაქმებელი კარიერის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი პროფესიონალებისთვის. ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ გარემო, სადაც როგორც ახალგაზრდა, აგრეთვე გამოცდილი პროფესიონალები შეძლებენ საერთო საქმეში წვლილის შეტანას და როგორც პიროვნულად, აგრეთვე პროფესიულად განვითარებას.


ასაკობრივი განაწილება (ახალი თანამშრომლები 2024)




ასაკობრივი განაწილება (დეკემბერი 2024)



გენდერული ბალანსი (დეკემბერი 2024)



გენდერული ბალანსი (საშუალო მენეჯმენტი, დეკემბერი 2024)



სწავლა და განვითარება

სს "პაშა ბანკი საქართველო"-ში დიდ ძალისხმევას ვდებთ ჩვენი თანამშრომლების განვითარებაში. ვალიარებთ, რომ ჩვენი წარმატება დამოკიდებულია მათ ზრდასა და განვითარებაზე. ბანკის სწავლებასთან დაკავშირებული კულტურა თანამშრომლებს აძლევს საშუალებას შეიძინონ სხვადასხვა პროფესიული უნარები და გააფართოონ თავიანთი შესაძლებლობები. თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ სწავლების სხვადასხვა საშუალების დაფინანსებით: ონლაინ, ადგილობრივი და საერთაშორისო ტრენინგები, საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირება, უცხო ენების კურსები და ა.შ. 2024 წელს პაშა ბანკის სტაჟირების პროგრამა დარჩა ახალგაზრდა ნიჭის განვითარების ერთ-ერთ საშუალებად. სტაჟიორთა 25% წარმატებით გადავიდა სრულ განაკვეთზე და დასაქმდა ბანკში არსებულ სხვადასხვა პოზიციაზე.

დატრენინგებული/გადაშაყდებული თანამშრომლების რაოდენობა (2024)	121
თანამშრომელთა სასწავლო საათების ჯამური რაოდენობა (2024)	9,531
სასწავლო საათების საშუალო საათობრივი მაჩვენებელი ერთ თანამშრომელზე (2024)	78

თანამშრომელთა ჩართულობა და კმაყოფილება

პაშა ბანკის მიზანია შექმნას ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც ზრდის თანამშრომელთა ჩართულობას, ორიენტირებულია კოლეგების მხარდაჭერასა და კოლაბორაციაზე. რადგანაც გვჯერა თანამშრომელთა ჩართულობის მნიშვნელობის, 2024 წელს ჩავატარეთ რამდენიმე კვლევა ამ მიმართულებით, კერძოდ თანამშრომელთა ჩართულობის 2 კვლევა, რომელთა მიზანი ამ მხრივ მიმდინარე მდგომარეობისა და უკვე შემდგომი პროგრესის გაზომვა იყო. გარდა ამისა, თანამშრომლების ჩართულობისა და ღია დიალოგის ხელშეწყობის ძალისხმევის ფარგლებში, ჩვენ დავინწყეთ ცალკეულ მიმართულებებთან შეხვედრების სტრუქტურირებული სერია, სადაც თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა ამ პლატფორმითაც გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულებები, იდეებისა და საზრუნავები. 2024 წლის განმავლობაში ფოკუს ჯგუფებთან თანამშრომლობის შედეგად, მიზნობრივი სამოქმედო გეგმა შემუშავდა და დაუყოვნებლივ დავინწყეთ ძირითადი ინიციატივების განხორციელება.

ჩვენ გვჯერა, რომ თანამშრომელთა ჩართულობისა და კმაყოფილების ზრდისთვის, ისევე როგორც ჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებისთვის, თითოეული თანამშრომლის როლი უმნიშვნელოვანესია, წვლილი კი - ფასდაუდებელი.



თანამშრომელთა ანაზღაურება

სს პაშა ბანკი საქართველოს თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს სამართლიან, თანმიმდევრულ და კონკურენტუნარიან ანაზღაურებას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ტალანტების მოზიდვას, მოტივირებასა და შენარჩუნებას.

ბანკი მოქმედებს თანამშრომელთა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს. ბანკის ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს, რომ კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლების (რისკების მართვა, შესაბამისობა და შიდა აუდიტის ფუნქციები) ანაზღაურების სქემა არ ზღუდავს ამ თანამშრომლების დამოუკიდებლობას. კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლების ანაზღაურება არ არის დამოკიდებული იმ ბიზნეს მიმართულების ფინანსურ შედეგებზე, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ ან მონიტორინგს უწევენ.

ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურება ბენეფიტებთან ერთად, ბანკის ანაზღაურების სისტემის შემადგენელი ნაწილებია. ფიქსირებული ანაზღაურება თანამშრომლებისთვის გაიცემა ყოველთვიურად, ხელფასის სახით; ცვლადი ანაზღაურება არის დამატებითი, თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული ელემენტი, რომლის გადახდაც განსხვავებული პერიოდულობით ხდება.

ბანკში ინდივიდუალური ანაზღაურება განისაზღვრება თანაბარი ანაზღაურების პრინციპით და მიზნად ისახავს მსგავსი სამუშაოებისთვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ფიქსირებული ანაზღაურების განსაზღვრისთვის მხედველობაში მიიღება შემდეგი კომპონენტები: პოზიციის სახელფასო დიაპაზონი, პოზიციის გრეიდი, ინდივიდუალური ცოდნა/გამოცდილება და ბაზრის უახლესი ტენდენციები. ბანკი იყენებს მსოფლიოში აღიარებულმა Korn Ferry Hey ჯგუფის მიერ შემუშავებულ სახელფასო დიაპაზონის და პოზიციის გრეიდინგის მეთოდოლოგიას.

პაშა ბანკში არსებული ყველა პოზიცია ითვალისწინებს ცვლად ანაზღაურებას. საბონუსე სისტემა სამუშაოს შესრულებაზე დამოკიდებული და დამოკიდებულია შესაბამის საბონუსე მეთოდოლოგიაზე, რომელიც განხვავებულია ფუნქციების მიხედვით. ამასთან, ბანკში თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულება ყოველწლიურად ფასდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, დამტკიცებული შესრულების მართვის მეთოდოლოგიისა და შესრულების მართვის პროცედურის მიხედვით.

ბანკი ბაზარზე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას, სთავაზობს რა თავის თანამშრომლებს სხვადასხვა ტიპის ბენეფიტს. ბენეფიტების სქემა მოიცავს - ჯანმრთელობის დაზღვევას თანამშრომლებისა და მათი უშუალო ოჯახის წევრებისთვის, სპორტის დაფინანსებას, პროფესიული ლიტერატურის დაფინანსებას, საერთაშორისო პროფესიული სერტიფიცირების გამოცდისა და სანევრო საფასურებს, სხვადასხვა სასწავლო აქტივობის ანაზღაურებას, სრულად დაფარულ დეკრეტულ შვებულებას და სხვ.

თანამშრომელთა კეთილდღეობისა და პროფესიული ზრდისადმი აღებული პასუხისმგებლობით, ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ მხარდამჭერი და დინამური სამუშაო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ერთობლივ, გრძელვადიან წარმატებას.

კორპორაციული მართვა

სს პაშა ბანკი საქართველო ერთგულია კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტებისა და აცნობიერებს კორპორაციული მართვის პრაქტიკის მნიშვნელობას ბანკის წარმატების ზრდისა და აქციონერთა გრძელვადიანი ღირებულების შესაქმნელად.

კორპორაციული მართვა განიმარტება, როგორც ბანკის მართვისა და ზედამხედველობისათვის განკუთვნილი სტრუქტურებისა და პროცესების ერთობლიობა. სს პაშა ბანკი საქართველო მუდმივად შეიმუშავებს პოლიტიკისა და სისტემების კომპლექსურ სპექტრს, ყველა შიდა და გარე პროცესის ეფექტური ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად. კორპორაციული მართვის ჯანსაღი სისტემა წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს საქართველოში კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში და ბანკის როლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს თანამედროვე ეკონომიკასა და საზოგადოებაში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

2024 წლის 6 ნოემბერს სს პაშა ბანკი საქართველომ და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ხელი მოაწერეს პარტნიორობის ხელშეკრულებას. ჭადრაკის განვითარებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა 2024 წელს ბანკის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ინიციატივაა. ამ პარტნიორობის მიზანია ჭადრაკის სწავლების სტანდარტებისა და მეთოდების გაუმჯობესება, ახლაგამზრდა მოჭადრაკეების განვითარების ხელშეწყობა და ზოგადად ჭადრაკის პოპულარიზაცია ბავშვებსა და მოზარდებში.

გარდა ამისა, ბანკი უკვე ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში რჩება გარემოსდაცვითი მდგრადობის ინიციატივების ერთგული და აქტიურად არის ჩართული ნარჩენების გადამუშავების პროგრამაში. ბანკი თანამშრომლებს უზრუნველყოფს ქალაქის ერთჯერადი ჭურჭლით და ხელს უწყობს ქალაქისა და პლასტმასის ნარჩენების, მოძველებული ელექტრონული მოწყობილობებისა და ელემენტების შეგროვებას, გადახარისხებასა და შემდგომ მათ ჩაბარებას სპეციალიზებული გადამამუშავებელი კომპანიებისთვის. დამატებით, ბანკი მხარს უჭერს განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტიანობის ინიციატივებს მიმართული სესხების დაფინანსებას.

კორპორაციული მართვის პრინციპების ერთგულება

სს პაშა ბანკი საქართველო მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს მმართველობის სტანდარტები, ყოველთვის შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან და გაითვალისწინოს და გამოიყენოს სამეთვალყურეო საბჭოს ინიციატივები, რომლებიც მიმართულია კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისკენ.

კორპორაციული მართვის საუკეთესო სტანდარტებისადმი ერთგულების სადემონსტრაციოდ ბანკი შეიმუშავებს და ანვითარებს ქვემოთ ჩამოთვლილს:

- პასუხისმგებელი, ანგარიშვალდებული და ღირებულებაზე დაფუძნებული მენეჯმენტი;
- ეფექტიანი სამედამხედველო და აღმასრულებელი ორგანოები, რომლებიც მოქმედებენ ბანკის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ინარჩუნებენ მზარდ აქციონერულ ღირებულებას;
- ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება და გამჭვირვალობა, ასევე რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა.

ბანკი პატივს სცემს და აღიარებს კორპორაციული მართვის ყველა ზოგად პრინციპს:

- სამართლიანობა: ბანკი მოწოდებულია იმოქმედოს სამართლიანად და ეთიკურად ყველა აქციონერისა და დაინტერესებული მხარის მიმართ, რადგან მიაჩნია, რომ ეთიკური ქცევა საფუძვლად უდევს კარგ კორპორაციულ მმართველობას.

- ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა: სამეთვალყურეო საბჭო ანგარიშვალდებულია აქციონერების წინაშე იმაზე, თუ როგორ ასრულებს იგი თავის პასუხისმგებლობას. ანალოგიურად, დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე მიღწეულ შედეგებზე და შესრულებაზე.

- გამჭვირვალობა: ბანკი მოწოდებულია უზრუნველყოს აქციონერებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ზუსტი და გასაგები ინფორმაციის მიწოდება ბანკთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხზე, მათ შორის, მის ფინანსურ მდგომარეობაზე, შესრულებაზე, და საკუთრებისა და მმართველობის სტრუქტურაზე ისე, რომ ინფორმაცია მარტივად იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული მხარეებისთვის, კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაცემის გარეშე.

საფინანსო სექტორის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის № 215/04 ბრძანებით 2018 წლის 26 სექტემბერს დამტკიცდა და დაინერგა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსი.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის მიზანია კომერციული ბანკებისთვის ძირითადი კორპორაციული მართვის პრინციპების განსაზღვრა, ეფექტური და ჯანსაღი კორპორაციული მმართველობის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს საფინანსო და საბანკო სექტორების წარმატებულ ფუნქციონირებას და სტაბილურობას. კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები სავალდებულოა კომერციული ბანკებისთვის.

ბანკმა მიიღო კოდექსის გაიდლაინები და დაცული აქვს მისი მოთხოვნები.

ეთიკის კოდექსი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორთა საბჭო, ისევე როგორც ბანკის ყველა თანამშრომელი, უნდა მოქმედებდნენ ყველა მოქმედი კანონმდებლობისა და დებულების შესაბამისად და იცავდნენ ბანკის ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ საქმიანი ქცევის ეთიკურ სტანდარტებს.

ბანკის ეთიკის კოდექსი არის იმ პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში. ბანკის ეთიკური პრინციპები ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

კეთილსინდისიერება – კეთილსინდისიერება ჩვენი ბიზნესის საფუძველია. ჩვენთვის ეს ნიშნავს იმის კეთებას, რაც სწორია. ყოველთვის. გამუდმებით. მაშინაც კი, როცა ვერავინ გვხედავს. ეს, ყველაზე ძირითად დონეზე, არის იმ ქვეყნის კანონებისა და რეგულაციების პატივისცემა, რომელშიც ჩვენ ვოპერირებთ. მთავარია, დავიცვათ ჩვენი კომპანიის ქცევის კოდექსი, გამოწვევების წინაშეც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ინტერესები არასოდეს შეენიერება პირად სარგებელს. ეს ნიშნავს გულწრფელობას საკუთარ თავთან, კოლეგებთან, კლიენტებთან და პარტნიორებთან, და მათი ნდობის მოპოვებას.

ხარისხი – გარე სამყარო ჩვენ ყოველთვის შეგვაფასებს პროდუქტის ან მომსახურების ხარისხის მიხედვით. ჩვენი მუშაობის ხარისხი კი ჩვენი თანამშრომლების თავდადებისა და პროფესიონალიზმის პირდაპირპროპორციულია. სხვა გზა არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ყოველთვის ვიცავთ ჩვენს მიერ დაწესებულ სტანდარტებს. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვასრულებთ იმას, რასაც გპირდებით, – დღითიდღე – ყურადღებით ვაბალანსებთ ხარისხსა და ეფექტურობას ოპტიმალური შედეგების მისაღწევად. სწორედ ამიტომ, ჩვენ არ გავუზიზღვართ სიახლეებს და ვცდილობთ ვისწავლოთ და გავუმჯობესდეთ – როგორც პიროვნებები და როგორც ორგანიზაცია.

მოგვებიანობა – ჩვენ ვქმნით სარგებელს როგორც ჩვენი აქციონერებისათვის, ასევე საზოგადოების საკეთილდღეოდაც. ამის მიღწევა მხოლოდ კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებით შეგვიძლია. ჩვენი პერსონალი აცნობიერებს, რომ ღირებულება იქმნება არა მხოლოდ ყველა გამოუმავებული დოლარიდან, არამედ ყველა დაზოგილი დოლარიდანაც. თუმცა, მოკლევადიანი ბიზნეს მიზნებისკენ სწრაფვაში ჩვენ არასდროს ვივინყებთ ჩვენს გრძელვადიან მიზანს – შევქმნათ და შევინარჩუნოთ მდგრადი გლობალური ბიზნესი. და ეს მისწრაფება განაპირობებს ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას.

თანამშრომლობა – როდესაც ერთ გუნდად ვმუშაობთ დეპარტამენტების, ბიზნეს ერთეულებისა და ქვეყნების მასშტაბით, ჩვენ ფენომენალურ შედეგებს ვიღებთ. კლიენტებთან, პარტნიორებთან და მომწოდებლებთან თანამშრომლობისას ჩვენ ბევრად ვაჭარბებთ ბაზარზე არსებულ მოლოდინებს. ამ სინერგიის გავლენა ბევრად აღემატება ნებისმიერ პიროვნულ წვლილს. ერთობლივი მუშაობა ქმნის ჯანსაღ სამუშაო გარემოს და განაპირობებს მაღალ ეფექტიანობას. ეს აჩქარებს პრობლემის გადაჭრას და შესაძლებელს ხდის ინოვაციას. ეს ზრდის ნდობასა და პატივისცემას.

მენარმეობა – ჩვენს გარშემო სამყარო მუდმივად იცვლება, ამიტომ ხშირად გვინევს გაურკვევლობის პირობებში მოქმედება. ჩვენ ვეძებთ ახალ შესაძლებლობებს და მზად ვართ გადავდგათ თამამი ნაბიჯები – ვაკეთოთ საქმეები და წავიდეთ იმ ადგილებში, სადაც სხვები ვერ ბედავენ. ჩვენ კი არ ვუფრთხით გამოწვევებს, არამედ აღვიქვამთ მათ, როგორც ზრდის შესაძლებლობებს. ჩვენ არ გვეშინია პირადი პასუხისმგებლობის აღება დამატებითი მანძილის გასავლელად ან რაიმე ახლის გასაკეთებლად. ჩვენი თანამშრომლები კომპანიას ეპყრობიან მზრუნველობით, გრძნობით, გონიერებით – ისევე, როგორც ისინი მოექცეოდნენ საკუთარ ბიზნესს.

ეთიკის კოდექსი აწესებს შემდეგ მოთხოვნებს:

- პროფესიული რეპუტაციის შენარჩუნება.

- პატიოსანი და ეთიკური ქცევის უმაღლესი სტანდარტები, მათ შორის პირადი და პროფესიული ურთიერთობების ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების სათანადო და ეთიკური პროცედურები.

- მონაცემთა სრული, სამართლიანი, ზუსტი, დროული და გასაგები ასახვა ანგარიშებსა და დოკუმენტებში, რომლებსაც სს „პაშა ბანკი საქართველო“ წარუდგენს ან აბარებს სამთავრობო და მარეგულირებელ უწყებებს და ბანკის სხვა საჯარო ურთიერთობის ადრესატებს.

- მთავრობის მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების დაცვა.

- კოდექსის დარღვევის ან ნებისმიერი უკანონო ქცევის შესახებ შიდა შეტყობინების სწრაფი მიწოდება.

- კოდექსის დარღვევების შესახებ შეტყობინების მეთოდების უზრუნველყოფა.

ღია კარის პოლიტიკა

ეთიკის კოდექსი მოიცავს ღია კარის პოლიტიკას, რომელიც ბანკის თითოეულ თანამშრომელს აძლევს საკმაოდ შესაძლებლობას დასვას შეკითხვები და მიიღოს კონსულტაცია, თუ ის არ არის დარწმუნებული, არღვევს თუ არა მისი საქციელი ეთიკის კოდექსის სულისკვეთებას, და გამოთქვას შემოთქმება, თუ მიიჩნევს, რომ ჩვენი ეთიკის კოდექსი დაირღვა.

სს პაშა ბანკი საქართველო ცდილობს გააძლიეროს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების ნდობა ბანკის კორპორაციული მართვისა და ეთიკური სტანდარტების მიმართ, რათა ნებისმიერ შიდა დაინტერესებული მხარის არაეთიკური და უკანონო ქცევა უყურადღებოდ არ დარჩეს.

მმართველობითი სტრუქტურის ნებისმიერ წევრს, რომელსაც გაუჩნდება რაიმე არსებითი შემოთქმება ბანკის საერთო კორპორაციული მართვის შესახებ, შეუძლია შეატყობინოს სამეთვალყურეო საბჭოს.

ეთიკის კოდექსი შემუშავებულია კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ეთიკის კოდექსის დოკუმენტის ნახვა შესაძლებელია პაშა ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge

მმართველობის სტრუქტურა

სს „პაშა ბანკი საქართველოს“ მმართველობის სტრუქტურა ადეკვატურად შეესაბამება მის საქმიან ხასიათს, მასშტაბს და კომპლექსურობას. ბანკის ორგანიზაციული და კორპორაციული სტრუქტურა გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს, რომ არავის ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების განუსაზღვრელი უფლება.

სს პაშა ბანკი საქართველოს აქვს კორპორაციული მართვის ორდონიანი სტრუქტურა - სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მთლიანად შედგება არააღმასრულებელი დირექტორებისგან და რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ზედამხედველობაზე, და დირექტორთა საბჭო (მმართველი საბჭო), რომელიც მთლიანად შედგება აღმასრულებელი დირექტორებისგან და რომელიც პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ მართვაზე.

2024 წლის 24 აპრილს ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გადანაცვლებით ძალაში შევიდა 2024 წლის, 2 მაისს. ცვლილებების დეტალური აღწერა მდგომარეობს შემდეგში:

დამტკიცდა პაშა ბანკი საქართველოს საცალო ბანკინგის დირექტორის და დირექტორთა საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადადგომა.

მთავარი ოპერაციული ოფიცრის და დირექტორთა საბჭოს წევრის დანიშვნა.

ბანკის ახალი სტრატეგიის შესაბამისად, შეჩერდა საცალო საბანკო ოპერაციები, რის შედეგადაც დაიხურა შესაბამისი დეპარტამენტები.



დეპარტამენტთა რესტრუქტურირება:

- გაიყო იურიდიული და შესაბამისობა & AML დეპარტამენტი.
- ბუღალტერიის და ბიუჯეტირების, რეპორტირების და სტრატეგიის მართვის დეპარტამენტები გაერთიანდა ფინანსური მენეჯმენტის დეპარტამენტში

ახალი როლის დაფუძნება:

- დირექტორთა საბჭოს წევრი – მთავარი კომერციული ოფიცერი.

პასუხისმგებლობა: კორპორაციული ბანკინგის, კომერციული ბანკინგის და სავაჭრო ფინანსების დეპარტამენტების ზედამხედველობა.



სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



როშან ალლაშვერდიევი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

როშან ალლაშვერდიევი არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2023 წლის 12 სექტემბრიდან.

გამოცდილება

მან კარიერა Khayal Cooperative Bank-ის წამყვან სპეციალისტად 1992 წელს დაიწყო. იმავე წელს მუშაობდა Garagayabank-ის კომერციულ ბანკში და გახლდათ წამყვანი სპეციალისტი და მთავარი ბუღალტერი.

ის შეუერთდა Arkobank JSB-ს 1996 წელს, როგორც მთავარი ბუღალტრის მოადგილე და იყო ფინანსური დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

ბ-ნი ალლაშვერდიევი Zamin Commercial Bank-ს, როგორც საკრედიტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე 2002 წელს შეუერთდა, შემდეგ კი საფინანსო-საკრედიტო დეპარტამენტის

დეპარტამენტის დირექტორისა და კავკასიის განვითარების ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებდა.

2003-2006 წლებში იგი მუშაობდა ტექნიკაბანკში ფილიალის მენეჯერად, 2006-2007 წლებში კაპიტალ ბანკში ფილიალის მენეჯერად და 2007-2013 წლებში პაშა ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ. 2013 წლის 11 ივნისიდან 2023 წლის მაისამდე მუშაობდა სს „კაპიტალ ბანკში“ აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 2023 წლის 05 მაისს ბ-ნი ალლაშვერდიევი PASHA Holding-ის კორპორატიული ბანკინგისა და დაზღვევის განყოფილებაში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. ის არის პაშა ჯგუფის კომპანიების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და თავმჯდომარე. როშან ალლაშვერდიევი პაშა ბანკ საქართველოს, როგორც საბჭოს წევრი 2023 წლის 12 სექტემბერს შეუერთდა.

განათლება

როშან ალლაშვერდიევი აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის ეკონომიკისა და შრომის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა.



გიორგი ღლონტი

სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი დამოუკიდებელი წევრი

გიორგი ღლონტი არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი 2018 წლის 31 დეკემბრიდან. იგი ასევე არის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე და რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

გიორგი ღლონტმა საბანკო კარიერა დაიწყო 1992 წელს, როგორც საერთაშორისო ოპერაციებისა და დოკუმენტური ტრანზაქციების დეპარტამენტის ასისტენტმა იბერია ბანკში. გიორგი ღლონტი ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა 1994 წელს და ეს თანამდებობა ეკავა 1995 წლამდე. 1995-1996 წლებში მუშაობდა თიბისი ჯგუფისა და ალმა თიბისის ფინანსურ დირექტორად. ამავე დროს, ის ასევე იყო თიბისი

ბანკის დირექტორთა საბჭოს და საკრედიტო კომიტეტის წევრი. 1996-1999 წლებში ეკავა საერთაშორისო განყოფილების უფროსის თანამდებობა თბილუნისერსალბანკში. 1999-2003 წლებში გიორგი ღლონტი იყო PwC-სთან ასოცირებული კომპანიის UBC International Ltd-ის (აუდიტი და კონსალტინგი) მმართველი პარტნიორი, აღმასრულებელი დირექტორი და აქციონერი. 2003-2005 წლებში იყო საქართველოს სახალხო ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. 2005-2008 წლებში გიორგი ღლონტი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და სეპ-ის საბჭოს წევრი. 2008-2009 წლებში იყო საქართველოს სახალხო ბანკის (ამჟამად „ლიბერთი“) გენერალური დირექტორი. 2009 წელს გახდა კორსტანდარტ ბანკის (ამჟამად „ტერა ბანკი“) გენერალური დირექტორი და იკავებდა ამ თანამდებობას 2013 წლამდე. 2013-2014 წლებში გიორგი ღლონტი იყო „ფენიქს კაპიტალის“ მმართველი პარტნიორი და აღმასრულებელი დირექტორი. 2014 წლიდან, მან გააგრძელა კარიერა სუპერ ტვ საკაბელო ტელევიზიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. 2014 წლიდან დღემდე, იგი იკავებდა GFTC-ის (SWIFT Service Bureau) არა აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობას. 2018 წელს გახდა RSM Georgia Management & Consulting-ის მმართველი პარტნიორი. გიორგი ღლონტს აქვს ოცდათერთმეტი წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

განათლება

გიორგი ღლონტმა მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ფინანსებსა და ეკონომიკაში, საბანკო საქმის სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოში



ებრუ ოლან კნოტნერუსი

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი

ებრუ ოლან კნოტნერუსი სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრია 2018 წლის 31 დეკემბრიდან. იგი ასევე არის რისკების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე და აუდიტის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

ებრუ ოლან კნოტნერუსმა საბანკო კარიერა დაიწყო 1991 წელს ფამუქბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტში. 1993-1997 წლებში მუშაობდა FINANSBANK-ის ფინანსური კონტროლისა და ბიუჯეტის დაგეგმვის მენეჯერად. 1997-1999 წლებში მუშაობდა DEMIRBANK-ის უცხოური ინვესტიციების დეპარტამენტში მენეჯერის თანამდებობაზე. 1999 წელს ებრუ ოლან კნოტნერუსი გადავიდა ოტომან ბანკში და 2001 წლამდე მუშაობდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის დეპარტამენტების ხელმძღვანელად.

2001-2003 წლებში, მან პროფესიული კარიერა BBVA Group - GARANTI Bank-ში განაგრძო, შვილობილი კომპანიების რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2016 წლიდან 2018 წლამდე კი კომპანიის რისკების მენეჯმენტის დეპარტამენტის მმართველის პოზიციას იკავებდა.

2018 წელს ებრუ ოლან კნოტნერუსი შეუერთდა პაშა ინვესტმენტ ბანკს თურქეთში, როგორც საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. ებრუ ოლან კნოტნერუსს აქვს ოცდათორმეტ წელზე მეტი გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში

განათლება

ებრუ ოლან კნოტნერუსს ბაკალავრის ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით, თურქეთში, ანკარის შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში (METU) მიენიჭა. მას არაერთი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა აქვს გავლილი, მათ შორის: ავთენტური მართვის განვითარების პროგრამა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში, სტრატეგიული განვითარების პროგრამა ლონდონის ბიზნეს სკოლაში და მაღალეფექტური ლიდერობის პროგრამა კოლუმბიის უნივერსიტეტში, აშშ.



შაპინ მამმადოვი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

შაპინ მამმადოვი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლის 30 აპრილიდან. იგი ასევე არის აუდიტის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

ბატონი მამმადოვის კარიერა დაიწყო 2003 წელს ბუღალტრის პოზიციაზე მუშაობით, მოგვიანებით ის დააწინაურეს Yapi Kredi Bank აზერბაიჯანის (ყოფილი Kochbank Azerbaijan JSB) მთავარი ბუღალტრის მოადგილედ. იგი შეუერთდა დელოიტსა და ტუშს 2005 წელს, როგორც ასოცირებული აუდიტორი და შემდგომში დაწინაურებულ იქნა აუდიტის მენეჯერის თანამდებობაზე.

2009 წელს ბ-ნი მამმადოვი გადაყვანილ იქნა ფინანსური მართვის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე ფაშა ბანკის სათაო ოფისში და 2011 წელს გახდა ფინანსური დირექტორი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი. 2013 წელს ის შეუერთდა პაშა ბანკი საქართველოს დირექტორთა საბჭოს და ზედამხედველობდა ბიზნესის განვითარების განყოფილებას. 2014 წლის ივლისში ბ-ნი მამმადოვი დაინიშნა პაშა ბანკ საქართველოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ და გენერალურ დირექტორად. 2015 წლის მარტიდან შაპინ მამმადოვი არის PASHA Yatirim Bankasi A.Ş.-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. 2018 წლის იანვრიდან იგი არის შპს „ფაშა ჰოლდინგის“ ბიზნესის მხარდაჭერის დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე. 2018 წლის 1 მარტს შაპინ მამმადოვი გახდა ლსს ფაშა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. შაპინ მამმადოვს აქვს ოც წელზე მეტი ხნის გამოცდილება საბანკო და ბიზნეს მენეჯმენტში.

განათლება

შაპინ მამმადოვმა დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი და მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში 2002 წელს. 2004 წელს მან მიიღო მაგისტრის ხარისხი იმავე უნივერსიტეტში. 2010 წელს ბატონმა მამმადოვმა მიიღო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიიდან.

2013 წელს ფაშა ჰოლდინგის მიერ ორგანიზებული მაღალი პოტენციალის ლიდერთა პროგრამის ფარგლებში მან წარმატებით გაიარა რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა ბიზნეს სკოლაში. 2012 წელს შაპინ მამმადოვი ჩაირიცხა ჰარვარდის ბიზნეს სკოლაში ლიდერობის განვითარების პროგრამაში (Executive Education Program) და გაიარა მოდულები 1-დან 4-მდე 2013 წელს. 2017 წელს გაიარა ამავე პროგრამის მე-5 მოდული. ბატონმა მამმადოვმა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულის სტატუსი მიიღო 2017 წლის ივლისში. იგი არის სერტიფიცირებულ დიპლომირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) წევრი 2014 წლიდან.



კამალა ნურიევა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

კამალა ნურიევა სამეთვალყურეო საბჭოს წევრია 2023 წლის 12 სექტემბრიდან. ის ასევე არის რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

გამოცდილება

2003 წელს შეუერთდა სოფლის მეურნეობის საინვესტიციო ფონდს სესხის ოფიცრის პოზიციაზე, რომელიც TACIS პროგრამის ფარგლებში ამერბაიჯანში, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიის განვითარებისთვის შეიქმნა. კამალა გახლდათ პასუხისმგებელი კლიენტების მოზიდვაზე, ასევე სესხის წარმოქმნასა და მართვაზე. იმავე წელს იგი აიყვანა უნიბანკმა OJSC-მა ფინანსური და სახაზინო კონტროლის ოფიცრად, სადაც პასუხისმგებელი იყო სავალუტო და საბაზრო რისკების მართვაზე.

2004-2005 წლებში იგი მუშაობდა McDermott Caspian Contractors Inc.-ში, როგორც ხარჯების კონტროლის ოფიცერი, ცენტრალური ამერბაიჯანის ოფშორული პლატფორმების დამზადებისა და მონტაჟისთვის. 2005 წელს იგი შეუერთდა ბაქოს ბანკს OJSC-ში, მთავარი ბუღალტრის მოადგილის პოზიციაზე, რომელიც პასუხისმგებელი იყო ბუღალტრული აღრიცხვის საქმიანობასა და მენეჯმენტის ანგარიშგებაზე.

2007 წელს იგი შეუერთდა პაშა ბანკს, როგორც შიდა აუდიტის მენეჯერი და 2011 წელს დაინიშნა რისკების მართვის დეპარტამენტის უფროსად. 2012 წელს გადავიდა პაშა ჰოლდინგში აუდიტისა და მონიტორინგის მენეჯერად. 2013 წელს დაინიშნა პაშა ჰოლდინგში ჯგუფის რისკების მართვის დირექტორად. 2021 წლის მაისიდან მან განაგრძო თავისი პროფესიული საქმიანობა აქციონერთა ოფისში, რისკებისა და აუდიტის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე.

კამალას PASHA ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის კომიტეტის, რისკების მართვის კომიტეტისა და საინვესტიციო კომიტეტის წევრად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს.

2023 წლის 12 სექტემბრიდან კამალა ნურიევა შეუერთდა PASHA Bank Georgia-ს, როგორც სამეთვალყურეო საბჭოს და რისკების მართვის კომიტეტის წევრი.

მისი გამოცდილება საბანკო და ბიზნესის ადმინისტრირებაში 27 წელზე მეტს ითვლის.

განათლება

კამალა ნურიევამ 1998 წელს ბაკალავრის ხარისხი საბანკო მენეჯმენტში დასავლეთის უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი - ფინანსებში ამერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტიდან 2003 წელს.

აქციონერთა სტრუქტურა და სააქციო კაპიტალი

სს პაშა ბანკი საქართველო («ბანკი») ჩამოყალიბდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც სააქციო საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი ოპერირებს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საერთო საბანკო ლიცენზიის (ს/კ: 404433671) საფუძველზე.

ბანკი იღებს დეპოზიტებს და გასცემს სესხებს, ახორციელებს გადარიცხვებს და გადახდებს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ახორციელებს ვალუტის გადაცვლას და უწევს სხვა საბანკო მომსახურებას კომერციულ კლიენტებს. 2017 წლიდან ბანკი ანაბრების დამღვევის სისტემის წევრია. ეს სისტემა მოქმედებს „დეპოზიტების დამღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამღვევს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების ყველა სახის დეპოზიტს.

2023 წლის 7 ივლისს ბანკის მფლობელობის სტრუქტურა შეიცვალა და ღსს პაშა ბანკთან ერთად ბანკის აქციონერი გახდა შპს პაშა ჰოლდინგი, 90,2019% და 9,7981% შესაბამისად.

2023 წლის სექტემბერში შპს „პაშა ჰოლდინგმა“ 7 800 000 ლარის სააქციო კაპიტალი შეიტანა ნაღდი ფულით და კვლავ შეიცვალა მფლობელობის სტრუქტურა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციების 85.0588% ფლობს ღსს პაშა ბანკი ხოლო 14.9412%-ს ფლობს შპს პაშა ჰოლდინგი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები არიან: ქალბატონი ლეილა ალიევა (35.21%), ქალბატონი არმუ ალიევა (35.21%),ბ-ნი არიფ ფაშაევი (18.99%) და ბ-ნი ჯამალ ფაშაევი (10.59%), რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ კონტროლს ბანკზე.

ბანკის მთლიანი საწესდებო კაპიტალი იყოფა 136 800 000 (ას ოცდათექვსმეტი მილიონ რვაასი ათასი) ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1,00 (ერთი) ლარი. ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე ყოველი ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ერთი ხმის უფლებას აძლევს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ღსს პაშა ბანკი (ამერბაიჯანი) არის პაშა ბანკი საქართველოს 85,0588%-იანი წილის მფლობელი, ხოლო შპს პაშა ჰოლდინგი არის 14,9412%-იანი წილის მფლობელი.

ინფორმაცია სს „პაშა ბანკი საქართველოდან“ აქციონერის ან ბენეფიციარი მფლობელის მიერ მიღებული შემოსავლის ტიპის შესახებ მოცემულია ქვემოთ:

ათას ლარში		
	მფლობელები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
	2024	
მოსაკრებელი და საკომისიოები	2	3
საკრედიტო დაწესებულებების მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი	70	542
არასაკრედიტო დაწესებულებების მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი	365	1,268
პროცენტი სუბორდინირებულ დავალიანებაზე	692	943

საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი	%
ლეილა ალიევა	35.21%
არზუ ალიევა	35.21%
არიფ ფაშაიევ	18.99%
ჰამალ ფაშაიევ	10.59%

ჯგუფის სტრუქტურა ასეთია:



აქციონერთა საერთო კრება

“ბანკის” მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. ბანკი ატარებს ყოველწლიურ საერთო კრებებს წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში. სხვა საერთო კრებები მოიწვევა, თუ ამას მოითხოვს ბანკის ინტერესები ან თუ ამას მოითხოვს ბანკის წესდება. საერთო კრებები მოწვევა ხდება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერ(ებ)ის მიერ. საერთო კრება ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, აქციონერებისთვის ყველაზე ხელსაყრელ დროსა და ადგილას. საერთო კრება მოიწვევა აქციონერებისთვის შეტყობინების გაგზავნიდან ოცი კალენდარული დღის ვადაში. აქციონერებს შეუძლიათ ხმის მიცემა უცხოეთიდან ან სხვა პირზე გაცემული მინდობილობის მეშვეობით. ბანკი უზრუნველყოფს საერთო კრებებზე მიღებული ყველა სათანადოდ რწმუნებულის დანიშვნის სათანადოდ აღრიცხვას. საერთო კრების მოწვევა განსაზღვრავს ინფორმაციას წესდებაში ცვლილებების შეტანის თარიღის, დროის, ადგილის, დღის წესრიგის, დადგენილების პროექტის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კენჭისყრის შედეგები და სხვა შესაბამისი მასალები დაურიგდება აქციონერებსა და საბოლოო აქციონერებს.

სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა და ყველა დირექტორმა იცოდნენ აქციონერების შეხედულებების, საკითხებისა და პრობლემების შესახებ.

საკითხები რომელიც მოითხოვს აქციონერთა კრების მიერ დამტკიცებას

- ა) ბანკის წესდების დამტკიცება და ცვლილება;
- ბ) ბანკის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;
- გ) ბანკის რეორგანიზაცია, რომელიც მოიცავს შერწყმას, გაყოფას, გარდაქმნას (ორგანიზაციულსამართლებრივი ფორმის შეცვლას) და ბანკის ლიკვიდაციას, ბანკის სააქციო კაპიტალის მკვეთრი ზრდის დროს უპირატესი შესყიდვის უფლების სრულად ან ნაწილობრივ გაუქმებას;

დ) ახალი აქციების გამოშვება, არსებული აქციონერ(ებ)ის მიერ აქციების, ან სხვა, აქციებად კონვერტირებადი, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა.

ე) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს წინადადება მოგების გამოყენების (მათ შორის განაწილების) შესახებ , ხოლო თუ ეს ორგანოები ვერ შეთანხმდებიან ერთ წინადადებაზე, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ვ) დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ანგარიშების დამტკიცება;

ზ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა და გათავისუფლება, წევრის ანაზღაურების საკითხის განსაზღვრა და წევრის ხელშეკრულებების დადება;

თ) ბანკის დირექტორთა საბჭოს პირველი შემადგენლობის დამტკიცება; ი) ბანკის აუდიტის კომიტეტის პირველი შემადგენლობის დამტკიცება;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამგვარ პროცესში წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ) ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და რეალიზაციის შესახებ დადგენილებების მიღება;

მ) მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ქონების შეძენაზე, გაყიდვაზე, გადაცემაზე, გაცვლასა (ან მსგავსი ეფექტის მქონე გარიგებაზე) ან დატვირთვაზე, რომლის ღირებულებაც აღემატება «ბანკის» აქტივების საბალანსო ღირებულების 25%-ს.

ნ) სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აქციონერთა საერთო კრების მიმოხილვა

2024 წელს აქციონერთა საერთო კრება ჩატარდა 29 იანვარს. აქციონერთა საერთო კრებაზე ბატონი მირ ჰამალ ფაშაიევი წარმოადგენდა ბანკის აქციონერს, სათანადო წესით ნოტარიულად დამოწმებული და ლეგალიზებული მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე. დღის წესრიგი მოიცავდა სს პაშა ბანკი საქართველოს კორპორაციული მართვის პოლიტიკის დამტკიცებას (მე-5 ვერსია)

აქციონერთა უფლებები

აქციონერთა უფლება-მოვალეობები ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრება სს „პაშა ბანკი საქართველოს“ წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით (მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), და ყველა სხვა შესაბამისი კანონით და დებულებით, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული რეგულაციებით.

წესდება ხელმისაწვდომია პაშა ბანკის ვებგვერდზე www.pashabank.ge

ბანკის წესდების მე-4 მუხლის 4.2 ნაწილის თანახმად, აქციონერებს უფლება აქვთ:

ა) დაესწრონ ან წარმოდგენილ იყვნენ საერთო კრებაზე და მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემის პროცესში (მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მფლობელები);

ბ) არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოში;

გ) მონაწილეობა მიიღონ მოგების განაწილებაში და მიიღონ დივიდენდები მათ მფლობელობაში არსებული აქციების რაოდენობის პროპორციულად;

დ) განკარგონ საკუთარი აქციები საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად;

ე) «ბანკის» ლიკვიდაციის შემთხვევაში, მათი წილის პროპორციულად მიიღონ იმ ქონების წილი, რაც დარჩება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ;

ვ) ჰქონდეთ წვდომა ბანკის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე;

ზ) მიმართონ ბანკის დირექტორებს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დასაზუსტებლად, მოითხოვონ რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა, ან დაამატონ განსახილველი საკითხები უკვე დანიშნული საერთო კრების დღის წესრიგში;

თ) მოითხოვონ ბანკის სამეურნეო საქმიანობისა და წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა არსებით დარღვევებს;

ი) უპირატესი წესით გამოიწერონ ბანკის ახლად გამოშვებული ან არსებული აქციები მათ საკუთრებაში არსებული აქციების პირდაპირპროპორციულად, ბანკის წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

კ) მიმართონ ადგილობრივ სასამართლოს ან მხარეთა შეთანხმებით მოიძიონ კერძო არბიტრაჟი მათსა და ბანკს შორის კონფლიქტის გადასაჭრელად;

ლ) ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბანკისა და დირექტორთა საბჭოს საერთო ზედამხედველობაზე. მის წევრებს ირჩევენ აქციონერები. სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე; საბჭო რჩევებს აძლევს დირექტორთა საბჭოს და ჩართულია გადაწყვეტილების მიღებაში ყველა იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდენს ბანკზე. ეს არის ბანკის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია აქციონერებისთვის მდგრადი აქციონერული ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე, ბანკის სამეწარმეო ხელმძღვანელობისა და მმართველობის გზით. იგი განსაზღვრავს ბანკის სტრატეგიულ მიზნებსა და პოლიტიკას, უზრუნველყოფს საერთო სტრატეგიულ მიმართულებას ჯილდოების, წახალისებისა და კონტროლის ფარგლებში, წარმოაჩენს ეთიკურ ხელმძღვანელობას და ხელს უწყობს ბანკის მიზნის, ღირებულებების, კულტურისა და ქცევების კოლექტიურ ხედვას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოქმედებენ, როგორც ისინი კეთილსინდისიერად თვლიან, ბანკის წარმატების უზრუნველსაყოფად და აქციონერთა საკეთილდღეოდ მთლიანობაში, და ამასთან, ითვალისწინებენ სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებსაც.

ბანკის წესდების მე-7 მუხლის მე-7.10 ნაწილის თანახმად, შემდეგი საქმიანობები ხორციელდება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

- ბანკის სტრატეგიული ზედამხედველობა და კონტროლი;
- კორპორაციული სტრატეგიისა და სტრატეგიული მიზნების განხილვა და დამტკიცება;
- წლიური ბიუჯეტისა და ბიზნეს გეგმის განხილვა და დამტკიცება;
- ახალი საბანკო/კომერციული საქმიანობის დაწყება და არსებული საქმიანობის შეწყვეტა ან შეჩერება;
- ახალი საწარმოებისა და ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- სხვა კომპანიებში აქციების შეძენა და გასხვისება;
- ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება;
- ეთიკის კოდექსის დამტკიცება და მხილების პროცედურები;
- საერთო კრების გადაწყვეტილებების მიღება ბანკის აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბაზარზე დაშვების შესახებ;
- მოგების განაწილების წინადადებების წარდგენა აქციონერთა საერთო კრებაზე;
- ბანკის მიერ აქციების გამოსყიდვა, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით;
- რისკების მართვის საქმიანობის სტრატეგიული ზედამხედველობა;
- რისკის აპეტიტის დამტკიცება, ყოველწლიური გადახედვა;
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმის დამტკიცება;
- ინტერესთა (შესაძლებელი) კონფლიქტისა და მასთან დაკავშირებული გარიგებების ავტორიზაცია ბანკის მიერ დადგენილ ფარგლებში;

- ინტერესთა კონფლიქტთან და დაკავშირებულ მხარეთა გარიგებებთან დაკავშირებული პოლიტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების დამტკიცება;

- დირექტორთა საბჭოს სტრუქტურის, რაოდენობისა და შემადგენლობის დამტკიცება, მისი წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების ჩათვლით;

- დირექტორთა საბჭოს წევრების უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა, დირექტორთა საბჭოდან ანგარიშების გამოთხოვა;

- დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაბარების პოლიტიკისა და გადაბარების გეგმების დამტკიცება;

- შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება და დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების პაკეტების განსაზღვრა;

- თანამშრომლებისთვის, მათ შორის დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის, პრემიების ან/და დამატებითი სარგებლის განსაზღვრის მარეგულირებელი ჩარჩოს დამტკიცება;

- სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის დამტკიცება, ასევე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების წევრების დანიშვნა და განთავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ანგარიშების განხილვა;

- გარე აუდიტორების არჩევა;

- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და დათხოვნა.

- კორპორაციული მდივნის დანიშვნა და გათავისუფლება;

- ტრანზაქციების დამტკიცება, რომლებიც განისაზღვრება, მაგრამ არ შემოიფარგლება სესხის აღების, სესხების და ვაჭრობის დაფინანსების პროდუქტების გაცემის, სესხის რესტრუქტურიზაციის, სესხის ჩამოწმის, მატერიალური და არამატერიალური აქტივების შეძენა-გასხვისების, ადმინისტრაციული ხარჯების, ნაღდი ფულის ლიმიტების, საჯარო და კერძო კომპანიებში კაპიტალური ინვესტიციების განხორციელების დამტკიცებით, იმ შემთხვევაში თუ ტრანზაქციის მოცულობა აღემატება დირექტორთა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების და ხელმოწერის უფლებამოსილების ლიმიტებს;

- დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისა და უფლებამოსილების ლიმიტების დამტკიცება;

- ბანკის ან ნებისმიერი მესამე პირის სესხების ან სხვა ვალდებულებების უზრუნველყოფა, თუ ისინი სცილდება ბანკის რეგულარული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებს;

- ობლიგაციების გამოშვების დამტკიცება;

- ბანკის წესდების ტიპის, ჩარჩოს ტიპის და პოლიტიკის ტიპის დოკუმენტების დამტკიცება და შესწორება;

- პირობების და წესების განსაზღვრა და დამტკიცება, რომელიც გამოიყენება ბანკის თანამშრომლებისთვის საკრედიტო რესურსებთან და დებოზიტებთან მიმართებაში;

- აქციონერთა საერთო კრების მოწვევა, თუ ითვლება, რომ ეს საჭიროა “ბანკის” ინტერესებისათვის;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			2,379	(517)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა			55,667	2,243
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში				
	5		64,785	62,542
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	5		120,452	64,785

5-56 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „პაშა ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 2012 წლის 17 დეკემბერს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედი სააქციო საზოგადოება. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში, “სებ”) მიერ 2013 წლის 17 იანვარს გაცემული საბანკო ლიცენზიით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404433671).

ბანკი იღებს ანაბრებს, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და სთავაზობს სხვა საბანკო მომსახურებას თავის მომხმარებლებს. ბანკის აქციონერების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული ინიციატივების საფუძველზე, ბანკი კვლავაც უმთავრესად კორპორაციულ კლიენტებზეა ორიენტირებული. 2024 წელს ბანკმა შეწყვიტა მასობრივი საცალო დაკრედიტება და თავისი სასესხო პორტფელის შესაბამისი ნაწილი გაყიდა (მე-7 შენიშვნა).

2017 წლიდან ბანკი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის“ წევრია. სისტემა ფუნქციონირებს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აზღვევს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირების ყველა ტიპის დეპოზიტს.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკი საქართველოში ერთი მომსახურების ოფისითაა წარმოდგენილი (2023 წლის 31 დეკემბერი: ოთხი). ბანკის იურიდიული მისამართია: ილია ჭავჭავაძის გამზირი 37მ, 0179, თბილისი, საქართველო.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის პირდაპირი აქციონერები იყვნენ:

მფლობელები	2024, %	2023, %
ლსს „პაშა ბანკი“	85.06%	85.06%
შპს „პაშა ჰოლდინგი“	14.94%	14.94%
სულ	100.00%	100.00%

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საბოლოო მფლობელები არიან ქ-ნი ლილა ალიევა, ქ-ნი არზუ ალიევა, ბ-ნი არიფ ფაშაევი და ბ-ნი მირ ჯამალ ფაშაევი, რომლებიც ბანკზე ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება აქციონერების მიერ ჯერ არ დამტკიცებულა ბანკის აქციონერთა საერთო კრებაზე. მფლობელებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

2024 წლის 1 იანვრით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის ფასს-ის მიხედვით აღრიცხვის არსებულ სტანდარტებში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

- ▶ „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ ან „გრძელვადიანი ვალდებულებები ფინანსური დათქმებით“ – ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში
- ▶ საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციაში – ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში
- ▶ განმარტებითი შენიშვნები: ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს (IAS) 7-ში და ფასს (IFRS) 7-ში.

ამ ცვლილებებიდან არცერთს არ მოუხდენია გავლენა ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ არ არის ჯერ ძალაში შესული, ბანკის მიერ ფასდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენის დასადგენად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს მოიცავს სტანდარტებსა და ცვლილებებს, რომლებიც უკვე მოქმედებს ახალი სტანდარტის ან ცვლილების საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივი დანერგვა ჯერ კიდევ მიმდინარეობს ან ძალაში შესვლის თარიღად უფრო გვიანი თარიღი განისაზღვრა.

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ფასს (IFRS) 9-ისა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება

2024 წლის 30 მაისს ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში, ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შემდგომში „ცვლილებები“). ცვლილებები მოიცავს შემდეგს:

- ▶ განმარტებას, რომ ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება „საანგარიშსწორებო თარიღით“ და სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესაძლებლობა (თუ გარკვეული პირობები დაკმაყოფილდება), რომ დაფარული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა მოხდეს ელექტრონულ გადახდის სისტემაში საანგარიშსწორებო თარიღამდე;
- ▶ დამატებითი მითითებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და მსგავსი მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივებისთვის;
- ▶ განმარტებები იმისა, თუ რა წარმოადგენს „არარეგრესის მახასიათებლებს“ და რა თვისებები აქვს ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებს;
- ▶ განმარტებითი შენიშვნების დანერგვა პირობითი მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის და დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 1 იანვარს ან ის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დაშვებულია ვადაზე ადრე მიღება, მხოლოდ ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ ცვლილებების ვადაზე ადრე მიღების უფლებით. ბანკი ამ ეტაპზე არ აპირებს ცვლილებების ვადაზე ადრე მიღებას. რაც შეეხება ელექტრონული გადახდის სისტემით დაფარული ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტასთან დაკავშირებული ცვლილებებს, ბანკი ამ ეტაპზე აფასებს ყველა არსებით ელექტრონული გადახდის სისტემას, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა იურისდიქციებში, რომლებშიც ეწევა საქმიანობას, რათა შეაფასოს, ცვლილებები გამოიწვევს თუ არა ამჟამინდელი პრაქტიკის არსებით ცვლილებას და აკმაყოფილებს თუ არა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების უფლების პირობებს, რომ შეწყვიტოს ასეთი ფინანსური ვალდებულებების აღიარება საანგარიშსწორებო თარიღამდე. გარდა ამისა, ბანკი ამოწმებს ყველა თავის სხვა გადახდის სისტემას (კერძოდ, ჩეკებს, საკრედიტო ბარათებს, სადებეტო ბარათებს) რათა დარწმუნდეს, რომ შესაბამისი ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უქმდება უფლებები ფულად ნაკადებზე და რომ შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება საანგარიშსწორებო თარიღით.

გარდა ამისა, ბანკი აფასებს ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეიცავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მახასიათებლებს და სხვა მსგავს პირობით მახასიათებლებს, ასევე არარეგრესის უფლების მქონე დაფინანსებაზე და ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებზე. ჩატარებული თავდაპირველი შეფასების საფუძველზე არ არის მოსალოდნელი, რომ ამ მიმართულების ცვლილებებმა არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუმცა შეფასება ჯერ არ დასრულებულა.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

იგი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრულ საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, რომლებიც წარმოადგენს შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად.

ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ბანკი ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბანკი ირჩევს შეფასების ისეთ მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებულ ვითარებაში და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიპოვება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს. ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, ბანკი განსაზღვრავს ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

საწყისი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ვალდებულების შესრულების გარანტია

ვალდებულების შესრულების გარანტია არის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ვალდებულების შესრულების გარანტიები ექცევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში და ფაქტობრივად წარმოადგენენ პირობითი სასესხო ვალდებულების ფორმას. ვალდებულების შესრულების გარანტიის ანარიცხები ფასდება ფასს 9-ის შესაბამისად.

რესტრუქტურულიზებული სესხები

თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფის საკუთრებაში მიღების ნაცვლად, ბანკი ახდენს სესხების რესტრუქტურულიზაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

ბანკი მაშინ წყვეტს ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებლებზე გაცემული სესხის, აღიარებას, როდესაც პირობები იმდენად გადაისინჯება, რომ ის არსებითად ახალი სესხი ხდება, ხოლო სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტით განპირობებული შემოსულობის ან ზარალის სახით, იმდენად, რამდენადაც გაუფასურების ზარალი ჯერ არ აღრიცხულა. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებულად. იმის შეფასებისას, უნდა მოხდეს თუ არა მომხმარებელზე გაცემული სესხის აღიარების შეწყვეტა, ბანკი, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ სესხის ვალუტის ცვლილება;
- ▶ კონტრაქტის ცვლილება;
- ▶ თუ მოდიფიკაცია იმგვარია, რომ ინსტრუმენტი აღარ დააკმაყოფილებდა SPPI კრიტერიუმს (მაგალითად, კაპიტალის კომპონენტის შემოტანა).

თუ მოდიფიცირება არ იწვევს არსებითად განსხვავებულ ფულად ნაკადებს, მოდიფიცირება არ გამოიწვევს აღიარების შეწყვეტას. თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადებში მომხდარ ცვლილებას ბანკი აღრიცხავს, როგორც მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გამოთვლილ საპროცენტო ამონაგებში და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოდიფიცირებით განპირობებულ წმინდა შემოსულობაში/(ზარალში), თუ უკვე არ არის აღრიცხული გაუფასურების ზარალი.

ცვლილებებისთვის, რომლებიც არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, ბანკი ასევე განმეორებით აფასებს, ხომ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად, ან აქტივები ხომ არ უნდა კლასიფიცირდეს გაუფასურებულად. აქტივი, რომელიც მოდიფიცირების შედეგად გაუფასურებულად არის კლასიფიცირებული, შეიძლება აღიარდეს მე-2 ან მე-3 სტადიის სახით, თუ დაკმაყოფილება გარკვეული კრიტერიუმები ბანკის დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ჩამოწერები

ფინანსური აქტივების ჩამოწერა, ნაწილობრივ ან მთლიანად, ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკი შეწყვეტს აქტივების ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ზარალის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით. შემდგომში ყოველგვარი ამოღებული თანხა კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯის ანგარიშზე. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.

ბანკი იცავს აქციონერის პოლიტიკის მოთხოვნებს საკრედიტო პროდუქტების ჩამოწერასთან მიმართებით, რომლებიც იცვლება პროდუქტის ტიპის მიხედვით. ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, ჩამოწერა ხდება 90 დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ. საცალო სესხები ჩამოიწერება 180-დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ. არასაცალო სესხების შემთხვევაში, მათი აღრიცხვა განსხვავდება უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით. სესხები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი ან უზრუნველყოფილია მოძრავი ქონებით, ჩამოიწერება 360-დღიანი ვადაგადაცილების შემდეგ, ხოლო უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი არასაცალო სესხები ჩამოიწერება 1,440 დღით ვადაგადაცილების შემდეგ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, საქართველოს ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს გაცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. სავალდებულო რეზერვი შედის საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მუხლში.

იჯარა

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ბანკი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს თავისი მოკლევადიანი იჯარებისთვის (ანუ იმ იჯარების შემთხვევაში, რომელთა ვადა მაქსიმუმ 12 თვეა იჯარის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და არ შეიცავს შესყიდვის ოფციონს). იგი ასევე იყენებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის საწყისი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე ან ზარალზე.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა ძალაში ყოფნა მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (რომლებიც ვრცელდება გაუნაწილებელ მოგებაზე) და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც ძალში შესულია ან ფაქტობრივად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ღირებულების დაგროვილი გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	წლები
ავეჯი და მოწყობილობები	4
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	4
სატრანსპორტო საშუალებები	4
სხვა აღჭურვილობა	5
	1-5 წელი ან
სალიზინგო ქონების გაუმჯობესება	იჯარის ვადა, თუ უფრო ნაკლებია

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები დაირიცხება მათი გაწვევისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადის არმქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების 10 წლიანი ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების აღმოჩენისას. სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივები ამორტიზდება სასარგებლო მომსახურების 1-დან 10 წლამდე ვადაზე და გადაიხედება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

სულ ვალდებულებები/მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს კომერციული ბანკებისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ განთავსებულ ანაბრებს და სესხებს. ბანკი ფინანსთა სამინისტროს მიიჩნევს საკრედიტო დაწესებულებად, რადგან მას, საქართველოს ეროვნული ბანკის მსგავსად, აქვს რეფინანსირების ინსტრუმენტი და გრძელვადიანი დეპოზიტები, როგორც ლიკვიდობის უზრუნველყოფის საშუალება.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს მხოლოდ სებ-ისა და კომერციული ბანკების მიმართ მოთხოვნებს. ბანკი არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებებს განიხილავს მომხმარებლებად და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებისთვის გაცემულ სესხებს ასახავს მომხმარებლებზე გაცემულ სესხებში.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

ბანკის დასაკუთრებული აქტივების უმეტესობა შედგება დასაკუთრებული კომერციული და საცხოვრებელი უძრავი ქონებისგან, რომლებიც დასაკუთრებული იქნა დეფოლტის სიტუაციაში მყოფი სესხების ამოღების დროს. ბანკი აპირებს ხსენებული აქტივების გაყიდვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ზოგადად, ბანკი დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება. ამონაგების აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ბანკი გამოითვლის საპროცენტო ამონაგებს სავალო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფინანსური აქტივების (გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა) საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოღებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობა (მაგალითად წინასწარი გადახდის ოფციონები) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ინსტრუმენტისთვის და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება, თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ბანკი საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, ბანკი დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების ბრუტოს საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

საპროცენტო ამონაგები ყველა ფინანსური აქტივიდან, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღიარებულია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

ბანკი იღებს შემოსავალს საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა ტიპის მომსახურების სანაცვლოდ. საკომისიო საზღაური შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საზღაური

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული საზღაური დაირიცხება იმავე პერიოდში. საზღაური მოიცავს საკომისიო შემოსავალს გარანტიებიდან და აკრედიტივებიდან. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა დამატებით დანახარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

დროის გარკვეულ მომენტში მიღებული საკომისიო შემოსავალი

ანგარიშსწორების და საკასო ოპერაციებიდან მიღებული საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი გარიგებების დასრულებისთანავე. თითოეული საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაცია აღირიცხება, როგორც ცალკე შესასრულებელი ვალდებულება.

საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი

მესამე მხარისთვის გარიგების პირობებზე მოლაპარაკებიდან ან მოლაპარაკებაში მონაწილეობიდან მიღებული საზღაურის (მაგალითად, როდესაც ბანკის შესასრულებელ მოვალეობას წარმოადგენს აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის უზრუნველყოფა) აღიარება ხდება შესაბამისი გარიგების დასრულებისთანავე. საზღაური და საზღაურის ის კომპონენტები, რომლებიც გარკვეულ შესასრულებელ ვალდებულებებს უკავშირდება, აისახება შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემდეგ. როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს ცვალებად ანაზღაურებას, საზღაურისა და საკომისიო შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს იმის ალბათობა, რომ აღიარებული კუმულაციური ამონაგების თანხის მნიშვნელოვანი გაუქმება არ მოხდება მანამ, სანამ საბოლოოდ გაირკვევა ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რაც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბანკმა შემდეგი გაცვლითი კურსი გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2024	2023
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753
ლარი / 1 აზერბაიჯანული მანათი	1.6510	1.5806

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შეწყვეტილი ოპერაციის განმარტება:

2024 წელს ბანკმა შეწყვიტა მასობრივი საცალო დაკრედიტება და თავისი სასესხო პორტფელის შესაბამისი ნაწილი გაყიდა (მე-7 შენიშვნა). ბანკმა განსჯას მიმართა იმის დასადგენად, ეს ოპერაცია აკმაყოფილებს თუ არა შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებას. შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც ან გასხვისებულია, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად არსებული, და:

- ▶ წარმოადგენს საქმიანობის ცალკე აღებულ ძირითად მიმართულებას ან საქმიანობის გეოგრაფიულ არეალს,
- ▶ წარმოადგენს განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან გეოგრაფიული არეალის საქმიანობის გასხვისების ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილს; ან
- ▶ არის შვილობილი საწარმო, რომელიც შეძენილია მხოლოდ და მხოლოდ გადაყიდვის მიზნით.

ტერმინი „მთავარი“ შეწყვეტილი ოპერაციის განმარტებაში ეხება როგორც „საქმიანობის სფეროს“, ისე „საქმიანობის გეოგრაფიულ არეალს“, ანუ შეწყვეტილი ოპერაციები უნდა წარმოადგენდეს ან საქმიანობის მთავარ სფეროს ან ოპერაციების მთავარ გეოგრაფიულ არეალს. რაოდენობრივი ზღვრები და ხარისხობრივი ასპექტები ფასს 8-დან – საოპერაციო სეგმენტები, რომლებითაც განისაზღვრა საანგარიშგებო სეგმენტი იქნა გამოყენებული იმის დასადგენად, წარმოადგენდა თუ არა მასობრივი საცალო დაკრედიტება საქმიანობის მთავარ სფეროს ან ოპერაციების მთავარ გეოგრაფიულ არეალს. ბანკმა შეინარჩუნა საცალო სასესხო პორტფელის მცირე ნაწილი და აგრძელებს საცალო კლიენტების ანაზღაურებას და მიმდინარე ანგარიშების მომსახურებას. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე ბანკის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მასობრივი საცალო პორტფელის გაყიდვა და მასობრივი საცალო დაკრედიტების შეწყვეტა არ შეესაბამება „შეწყვეტილი ოპერაციის“ განმარტებას ფასს 5-ის შესაბამისად.

განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების მისაღებად ბანკის ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში დაეყრდნო თავის განსჯას და შეფასებას. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

გაუფასურების ზარალის შეფასება ფასს 9-ის შესაბამისად ფინანსური აქტივების ყველა კატეგორიისთვის საჭიროებს განსჯის გამოყენებას, კერძოდ, სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების პროგნოზირებას გაუფასურების ზარალის განსაზღვრისას და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების საშოლოო მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო მოსაზრებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ ბანკის საკრედიტო რეიტინგის დადგენის შიდა მოდელი, რომელიც დეფოლტების შესაძლებლობებს ინდივიდუალურ რეიტინგს ანიჭებს;
- ▶ ბანკის კრიტერიუმები იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად ხომ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი და ამიტომ ფინანსური აქტივების რეზერვები ხომ არ უნდა შეფასდეს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების შემუშავება, მათ შორის, სხვადასხვა ფორმულისა და ამოსავალი მონაცემის შერჩევა;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განუსაზღვრელობის შეფასება (გაგრძელება)

- ▶ კავშირის დადგენა მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ისეთ ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორიც არის მშპ-ის ზრდა და ინფლაცია, ასევე გავლენის განსაზღვრა დეფოლტის ალბათობაზე, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებაზე და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე.
- ▶ საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების არჩევა და მათი ალბათობების შეწონა, მიღებული ეკონომიკური მონაცემების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში გამოყენების მიზნით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული მომხმარებლებზე გაცემული სესხების, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რეზერვის ოდენობა, შესაბამისად, შეადგენდა 11,364 ათას ლარს (2023 წ.: 16,203 ათასი ლარი), 479 ათას ლარს (2023 წ.: 418 ათასი ლარი) და 300 ათას ლარს (2023 წ.: 914 ათასი ლარი). იხილეთ მე-7, მე-8 და მე-19 შენიშვნები.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	2024	2023
ნაღდი ფული	2,958	2,919
მიმდინარე ანგარიშები სებ-ში	4,110	3,440
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	37,715	24,030
90 დღემდე ვადიანი ანაზრები საკრედიტო დაწესებულებებში	75,671	34,398
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(2)	(2)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	120,452	64,785

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული, აშშ დოლარში, ლარსა და ევროში გამოხატული, მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი ანაზრები წარმოადგენს მთლიანი მიმდინარე და ვადიანი ანაზრების 60.54%-ს, 22.66%-სა და 15.72%-ს, შესაბამისად (2023 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 77.17%, ლარი 18.03% და ევრო 4.38%).

ფულადი სახსრების ეკვივალენტების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და 1-ელ სტადიას მიკუთვნებული.

6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოიცავს:

	2024	2023
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	76,015	27,787
რეზიდენტ კომერციულ ბანკზე გაცემული სესხი	45,678	–
90 დღეზე მეტი ვადის მქონე ანაზარი	–	9,004
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(141)	(1)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	121,552	36,790

საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. ნორმატიული აქტის შესაბამისად, ბანკს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება.

ბანკმა გასცა 45,000 ლარის სესხი რეზიდენტ კომერციულ ბანკზე, რომელიც იყო გაყიდულ მასობრივ საცალო პორტფელში გადახდილი საზღაურის ნაწილი (მე-7 შენიშვნა). ეს სესხი გამოხატულია ლარში და მისი დაფარვის ვადა იჭურება 2025 წლის მარტში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ვადიანი ანაზრების და რეზიდენტ კომერციულ ბანკზე გაცემული სესხის საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,004	(1)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	101,523	(785)
დაფარული აქტივები	(65,498)	11
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	649	634
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	45,678	(141)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში 90 დღეზე მეტი ვადის მქონე ვადიანი ანაზრების საერთო საბალანსო ღირებულებასა და შესაბამის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებების ანალიზი:

	საერთო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,473	(1)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	34,209	(66)
გადახდილი აქტივები	(29,259)	16
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	581	50
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,004	(1)

საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და მიკუთვნებულია პირველ სტადიას.

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2024	2023
კორპორაციული	192,222	146,805
კომერციული	169,357	134,974
სამომხმარებლო	1,285	70,530
კლიენტებზე გაცემული სესხები	362,864	352,309
გამოკლებული – გაუფასურების რეზერვი	(11,364)	(16,203)
კლიენტებზე გაცემული სესხები	351,500	336,106

კომერციული სესხები მოიცავს საშუალო ზომის კომპანიებზე გაცემულ სესხებს.

2024-2026 წლების პერიოდის ახალი სტრატეგიის შესაბამისად ბანკმა შეწყვიტა მასობრივი საცალო დაკრედიტება და ყურადღება გადაიტანა თავისი კორპორაციული საქმიანობის გაფართოებაზე. 2024 წლის 15 მარტს ბანკმა გაყიდა მასობრივი საცალო სესხების პორტფელი 56,299 ლარის ოდენობით (მთლიანი თანხა – 62,933 ლარი, გაუფასურების რეზერვი – 6,634 ლარი, საიდანაც 6,172 ლარი მიკუთვნებადი იყო საბალანსო საცალო სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, ხოლო 462 ლარი – აუთვისებელი საკრედიტო ხაზებისთვის) 1,000 ათასი ლარის პრემიით, რომელიც აღიარებულია, როგორც შემოსულობა ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მომხმარებლებზე გაცემული სესხების საერთო საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული**კორპორაციული სესხები, მთლიანი*

მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1

	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
იანვრის მდგომარეობით	135,498	4,943	6,364	146,805
წარმოქმნილი ახალი აქტივები	178,504	–	–	178,504
გადახდილი აქტივები	(129,740)	(614)	(4,428)	(134,782)
გადატანები პირველ სტადიაზე	6,408	(6,408)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(2,075)	2,075	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	(57)	(57)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა, წმინდა	1,417	4	331	1,752
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	190,012	–	2,210	192,222

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული**კორპორაციული სესხები,**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 1

	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
იანვრის მდგომარეობით	(1,270)	(34)	(2,317)	(3,621)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(1,644)	–	–	(1,644)
გადახდილი აქტივები	760	7	1,435	2,202
გადატანები პირველ სტადიაზე	(50)	50	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	52	(52)	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	(57)	(57)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა გადაფასება	1,395	29	(1,271)	153
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(757)	–	(2,210)	(2,967)

*შეძენილი ან**შექმნილი**გაუფასურებული**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული**კომერციული სესხები, მთლიანი*

მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1

	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული	სულ
იანვრის მდგომარეობით	104,049	11,515	18,437	973	134,974
წარმოქმნილი ახალი აქტივები	97,615	–	–	–	97,615
გადახდილი აქტივები	(61,864)	(1,700)	(2,432)	–	(65,996)
გადატანები პირველ სტადიაზე	780	(780)	–	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(6,204)	6,268	(64)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(10,708)	10,708	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	987	–	987
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა, წმინდა	2,205	(401)	(65)	38	1,777
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	136,581	4,194	27,571	1,011	169,357

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ- რებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის					
1 იანვრის მდგომარეობით	(830)	(467)	(4,366)	(8)	(5,671)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(1,121)	–	–	–	(1,121)
გადახდილი აქტივები	288	60	725	–	1,073
გადატანები პირველ სტადიაზე	73	(73)	–	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	156	(166)	10	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	665	(665)	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	987	–	987
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა გადაფასება	482	(277)	(4,064)	224	(3,635)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(952)	(258)	(7,373)	216	(8,367)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სამომხმარებლო სესხები, მთლიანი	1-ელი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1				
იანვრის მდგომარეობით	61,909	4,287	4,334	70,530
წარმოქმნილი ახალი აქტივები	20,336	–	–	20,336
გადახდილი აქტივები	(23,929)	(980)	(159)	(25,068)
გადატანები პირველ სტადიაზე	795	(795)	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(2,202)	2,558	(356)	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(1,551)	1,551	–
პორტფელის გაყიდვა	(55,710)	(3,442)	(3,781)	(62,933)
ჩამოწერილი თანხები	–	–	(1,543)	(1,543)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა, წმინდა	42	(65)	(14)	(37)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,241	12	32	1,285

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სამომხმარებლო სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 1				
იანვრის მდგომარეობით	(2,630)	(729)	(3,552)	(6,911)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(1,320)	–	–	(1,320)
გადახდილი აქტივები	1,274	226	212	1,712
გადატანები პირველ სტადიაზე	(72)	69	3	–
გადატანები მეორე სტადიაზე	519	(529)	10	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	498	(498)	–
პორტფელის გაყიდვა	2,408	637	3,127	6,172
ჩამოწერილი თანხები	–	–	1,543	1,543
აღდგენები	–	–	(412)	(412)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა გადაფასება	(182)	(172)	(460)	(814)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(3)	–	(27)	(30)

2024 წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხებიდან არცერთი არ ექვემდებარება იძულებითი აღსრულების
ლონისპიებებს.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

<i>ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კორპორატიული სესხები, მთლიანი</i>	<i>1-ელი სტადია</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მე-3 სტადია</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	183,805	6,736	162	190,703
წარმოქმნილი ახალი აქტივები	96,755	–	–	96,755
გადახდილი აქტივები	(137,710)	(1,916)	(556)	(140,182)
გადატანები მეორე სტადიაზე	(6,518)	6,518	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(6,753)	6,753	–
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა, წმინდა	(834)	358	5	(471)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	135,498	4,943	6,364	146,805

<i>ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კორპორატიული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი</i>	<i>1-ელი სტადია</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მე-3 სტადია</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,735)	(38)	(162)	(1,935)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(745)	–	–	(745)
გადახდილი აქტივები	587	9	249	845
გადატანები მეორე სტადიაზე	16	(16)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	25	(25)	–
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა გადაფასება	607	(14)	(2,379)	(1,786)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,270)	(34)	(2,317)	(3,621)

<i>ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები, მთლიანი</i>	<i>1-ელი სტადია</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მე-3 სტადია</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	71,952	20,510	29,921	–	122,383
წარმოქმნილი ახალი აქტივები	75,391	–	–	889	76,280
გადახდილი აქტივები	(35,038)	(12,977)	(19,361)	(50)	(67,426)
გადატანები პირველ სტადიაზე	3,477	(3,477)	–	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(13,950)	14,246	(296)	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	(6,623)	6,623	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	(83)	–	(83)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა, წმინდა	2,217	(164)	1,633	134	3,820
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	104,049	11,515	18,437	973	134,974

<i>ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული კომერციული სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი</i>	<i>1-ლი სტადია</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მე-3 სტადია</i>	<i>შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(492)	(706)	(8,229)	–	(9,427)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(776)	–	–	–	(776)
გადახდილი აქტივები	187	326	3,997	–	4,510
გადატანები პირველ სტადიაზე	(120)	120	–	–	–
გადატანები მეორე სტადიაზე	78	(81)	3	–	–
გადატანები მესამე სტადიაზე	–	94	(94)	–	–
დისკონტის ამორტიზაცია	–	–	(83)	–	(83)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა გადაფასება	293	(220)	40	(8)	105
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(830)	(467)	(4,366)	(8)	(5,671)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული*

<i>სამომხმარებლო სესხები, მთლიანი</i>	<i>1-ელი სტადია</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მე-3 სტადია</i>	<i>სულ</i>
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1				
იანვრის მდგომარეობით	50,762	1,151	2,710	54,623
წარმოქმნილი ახალი აქტივები	141,017	4,638	–	145,655
გადახდილი აქტივები	(118,842)	(4,275)	(613)	(123,730)
გადატანები პირველ სტადიაზე	11,315	(11,114)	(201)	–
გადატანები მეორე სტადიაზე	(22,246)	22,553	(307)	–
გადატანები მესამე სტადიაზე	(78)	(8,312)	8,390	–
ჩამოწერილი თანხები	–	–	(5,751)	(5,751)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა, წმინდა	(19)	(354)	106	(267)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	61,909	4,287	4,334	70,530

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული

<i>სამომხმარებლო სესხები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი</i>	<i>1-ლი სტადია</i>	<i>მე-2 სტადია</i>	<i>მე-3 სტადია</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 1				
იანვრის მდგომარეობით	(2,564)	(188)	(2,710)	(5,462)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(8,502)	(1,032)	–	(9,534)
გადახდილი აქტივები	4,573	819	847	6,239
გადატანები პირველ სტადიაზე	(976)	949	27	–
გადატანები მეორე სტადიაზე	3,234	(3,300)	66	–
გადატანები მესამე სტადიაზე	8	2,962	(2,970)	–
ჩამოწერილი თანხები	–	–	5,751	5,751
აღდგენები	–	–	(381)	(381)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის წმინდა გადაფასება	1,597	(939)	(4,182)	(3,524)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,630)	(729)	(3,552)	(6,911)

უზრუნველყოფის საგანი და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებები

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები. მიღებული უზრუნველყოფის ტიპები, როგორც წესი, არის უძრავი ქონების იპოთეკა, ასევე ნაღდი ფული და თავდებობები, წარმოდგენილი მსესხებლებისა და მესამე მხარეების, მათ შორის, აქციონერების მიერ.

ბანკი მესამე სტადიისთვის მიკუთვნებული გარკვეული იურიდიული პირების დეფოლტის შემთხვევაში ზარალს გამოითვლის უზრუნველყოფის საგნების დისკონტირებული ღირებულების გამოყენებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი ინდივიდუალურად შეფასებული სესხების მაქსიმალური რისკის მოცულობა შეადგენდა 23,475 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 25,527 ათასი ლარი), რომლისთვისაც შეიქმნა 5,387 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (2023 წლის 31 დეკემბერი: 6,438 ათასი ლარი). ეს სესხები უზრუნველყოფილი რომ არ ყოფილიყო, მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქნებოდა 20,584 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 23,360 ათასი ლარი) კოლექტიურ შეფასებაზე დაყრდნობით.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებს სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)**მომხმარებლებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა სასესხო დავალიანების კონცენტრაცია ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ათ უმსხვილეს ჯგუფზე 183,997 ათასი ლარის მთლიანი ოდენობით, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 50.71%-ია (2023 წლის 31 დეკემბერი: 143,110 ათასი ლარი, რაც მთლიანი სასესხო პორტფელის 40.62%-ს შეადგენდა). აღნიშნული სესხებისათვის 670 ათასი ლარის ოდენობის რეზერვი შეიქმნა (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,539 ათასი ლარი).

საქართველოში გაცემული სესხების განაწილება დარგების მიხედვით:

	2024	2023
ვაჭრობა და მომსახურება	181,326	115,326
ფინანსური შუამავლობა	60,359	56,780
უძრავი ქონების მართვა	44,031	45,478
ენერგეტიკა	36,298	39,774
მშენებლობა	33,929	16,402
აგრო	5,636	7,974
ფიზიკური პირები	1,285	70,530
სხვა	–	45
	362,864	352,309

8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებში შედიოდა ფინანსური დაწესებულებებისა და სხვა კომპანიების ობლიგაციები და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები:

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები		
ფინანსური დაწესებულებების ობლიგაციები	43,041	32,897
კორპორაციული ობლიგაციები	33,038	27,282
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	5,469	5,469
	81,548	65,648
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(479)	(418)
სულ სავალო ფასიანი ქაღალდები	81,069	65,230

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები არ დაგირავებულია უზრუნველყოფის საგნის სახით (2023 წლის 31 დეკემბერი: არაფერი) (მე-14 შენიშვნა).

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მთლიან საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

	კორპორაციული ობლიგაციები	ფინანსური დაწესებუ- ლებების ობლიგაციები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	27,282	32,897	5,469	65,648
წარმოქმნილი ახალი აქტივები	12,000	13,900	–	25,900
გადახდილი აქტივები	(6,580)	(3,750)	–	(10,330)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	336	(6)	–	330
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,038	43,041	5,469	81,548

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი:

	კორპორაციული ობლიგაციები	ფინანსური დაწესებუ- ლებების ობლიგაციები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(228)	(190)	–	(418)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(128)	(187)	–	(315)
გადახდილი აქტივები	2	1	–	3
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	138	113	–	251
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(216)	(263)	–	(479)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების მთლიან საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების ანალიზი:

	კორპორაციული ობლიგაციები	ფინანსური დაწესებუ- ლებების ობლიგაციები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	20,951	17,779	5,469	44,199
წარმოქმნილი ახალი აქტივები	7,517	29,000	–	36,517
დაფარული აქტივები	(1,313)	(14,000)	–	(15,313)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	127	118	–	245
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,282	32,897	5,469	65,648

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი:

	კორპორაციული ობლიგაციები	ფინანსური დაწესებუ- ლებების ობლიგაციები	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(270)	(68)	–	(338)
წარმოქმნილი ახალი აქტივები	(85)	(281)	–	(366)
დაფარული აქტივები	11	1	–	12
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	116	158	–	274
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(228)	(190)	–	(418)

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ყველა ნაშთი ამორტიზებული ღირებულებით არის აღრიცხული და 1-ელ სტადიას მიკუთვნებული.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. დასაკუთრებული უზრუნველყოფა

ბანკი ფლობს დასაკუთრებულ ქონებას, რომელიც წარმოადგენს უმოქმედო სესხების დაფარვის შედეგად ბანკის საკუთრებაში გადასულ მიწას, კომერციულ და საცხოვრებელ უძრავ ქონებას. ბანკი აპირებს ხსენებული აქტივების გაყიდვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ზოგადად, ბანკი დასაკუთრებულ აქტივებს კომერციული მიზნებისათვის არ იყენებს. პერიოდის განმავლობაში დასაკუთრებული და საანგარიშგებო თარიღისთვის ფლობილი უზრუნველყოფის საგნების საბალანსო ღირებულება ასეთია:

	2024	2023
კომერციული უძრავი ქონება	13,530	13,861
საცხოვრებელი უძრავი ქონება	4,605	1,334
მიწა	910	192
სხვა	323	323
სულ დასაკუთრებული უზრუნველყოფა	19,368	15,710

2024 წელს ბანკმა დაისაკუთრა 4,704 ათასი ლარის უზრუნველყოფა გაცემული არაფულადი დაფარვის სახით (2023 წ.: 15,202 ათასი ლარი). 2024 წლის განმავლობაში ბანკმა გაყიდა 1,046 ათასი ლარის ოდენობის დასაკუთრებული უზრუნველყოფა.

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა ასეთია:

	ავეჯი და მოწყობი- ლობები	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურ- ვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აღჭურ- ვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2023 წ.	2,096	4,940	526	516	3,338	11,416
შემოსვლები	62	464	94	8	325	953
გასვლები და ჩამოწერები	–	(56)	(138)	(2)	(362)	(558)
31 დეკემბერი, 2023 წ.	2,158	5,348	482	522	3,301	11,811
შემოსვლები	13	1,498	–	8	–	1,519
გასვლები და ჩამოწერები	(476)	(805)	(24)	(79)	(572)	(1,956)
31 დეკემბერი, 2024 წ.	1,695	6,041	458	451	2,729	11,374
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2023 წ.	(1,846)	(4,153)	(347)	(408)	(2,242)	(8,996)
ცვეთის ხარჯი	(215)	(437)	(50)	(61)	(663)	(1,426)
გასვლები და ჩამოწერები	–	49	137	2	345	533
31 დეკემბერი, 2023 წ.	(2,061)	(4,541)	(260)	(467)	(2,560)	(9,889)
ცვეთის ხარჯი	(27)	(575)	(68)	(40)	(484)	(1,194)
გასვლები და ჩამოწერები	447	790	18	66	315	1,636
31 დეკემბერი, 2024 წ.	(1,641)	(4,326)	(310)	(441)	(2,729)	(9,447)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება						
1 იანვარი, 2023 წ.	250	787	179	108	1,096	2,420
31 დეკემბერი, 2023 წ.	97	807	222	55	741	1,922
31 დეკემბერი, 2024 წ.	54	1,715	148	10	–	1,927

მასობრივი საცალო სასესხო პორტფელის გაყიდვის შემდეგ ბანკმა შეწყვიტა ოპერაციები სამ ფილიალში და ჩამოწერა შესაბამისი ძირითადი საშუალებები. მთლიანი ჩამოწერის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა საიჯარო ქონების გაუმჯობესებამ 572 ათასი ლარის მთლიანი სააღრიცხვო ღირებულებით და 315 ათასი ლარის დაგროვილი ცვეთით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანად გაცვეთილი მუხლები გაუტოლდა 8,253 ათას ლარს (2023 წ.: 6,879 ათასი ლარი).

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. იჯარა

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების ცვლილების დინამიკა ასეთია:

	აქტივის გამოყენების უფლება	
	შენიშვნები	საიჯარო ვალდებულებები
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,047	3,135
შემოსვლები	583	583
გასვლები და ჩამოწერები (მთლიანი)	(1,425)	(1,239)
ცვეთის ხარჯი	(1,611)	–
გასვლები და ჩამოწერები (დაგროვილი ცვეთა)	110	–
საპროცენტო ხარჯი	–	75
გადახდები	–	(1,817)
საიჯარო ქირის დათმობა	–	(33)
საკურსო სხვაობა	–	51
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	704	755

მასობრივი საცალო სასესხო პორტფელის გაყიდვის შემდეგ ბანკმა შეწყვიტა ოპერაციები სამ ფილიალში და შეწყვიტა შესაბამისი იჯარების აღიარება.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულებების ცვლილების დინამიკა ასეთია:

	აქტივის გამოყენების უფლება	
	შენიშვნები	საიჯარო ვალდებულებები
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,766	3,772
შემოსვლები	1,265	1,293
გასვლები და ჩამოწერები (მთლიანი)	(1,879)	–
ცვეთის ხარჯი	(1,984)	–
გასვლები და ჩამოწერები (დაგროვილი ცვეთა)	1,879	–
საპროცენტო ხარჯი	–	150
გადახდები	–	(2,007)
საიჯარო ქირის დათმობა	–	(32)
საკურსო სხვაობა	–	(41)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,047	3,135

სამომავლო საიჯარო გადახდები მომდევნო ხუთი წლის ყოველი წლისთვის 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	საიჯარო ვალდებულებები	
	2024	2023
ერთი წლის განმავლობაში	228	1,968
1-დან 2 წლამდე	228	407
2-დან 3 წლამდე	228	407
3-დან 4 წლამდე	133	366
4-დან 5 წლამდე	–	196
	817	3,344

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების ცვლილების დინამიკა ასეთი იყო:

	ლიცენზიები	კომპიუტერული პროგრამები	სულ
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2023 წ.	204	8,554	8,758
შემოსვლები	–	1,172	1,172
გასვლები და ჩამოწერები	–	(731)	(731)
31 დეკემბერი, 2023 წ.	204	8,995	9,199
შემოსვლები	–	1,331	1,331
გასვლები და ჩამოწერები	–	(3,546)	(3,546)
31 დეკემბერი, 2024 წ.	204	6,780	6,984
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი, 2023 წ.	(145)	(3,358)	(3,503)
ამორტიზაციის ხარჯი	(19)	(1,513)	(1,532)
გასვლები და ჩამოწერები	–	731	731
31 დეკემბერი, 2023 წ.	(164)	(4,140)	(4,304)
ამორტიზაციის ხარჯი	(7)	(1,790)	(1,797)
გასვლები და ჩამოწერები	–	2,473	2,473
31 დეკემბერი, 2024 წ.	(171)	(3,457)	(3,628)
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება			
1 იანვარი, 2023 წ.	59	5,196	5,255
31 დეკემბერი, 2023 წ.	40	4,855	4,895
31 დეკემბერი, 2024 წ.	33	3,323	3,356

მასობრივი საცალო სასესხო პორტფელის გაყიდვის შემდეგ ბანკმა ჩამოწერა 2,501 ათასი ლარის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა 1,430 ათასი ლარის დაგროვილი ამორტიზაციით, რაც უკავშირდებოდა მასობრივ საცალო საკრედიტო ოპერაციებს. არამატერიალური აქტივების ჩამოწერით განპირობებული ზარალის აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში (22-ე შენიშვნა).

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივებს მიეკუთვნება:

	2024	2023
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	1,145	830
მარაგები	249	475
მოკლევადიან იჯარაზე გადახდილი ავანსები	60	68
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	36	–
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	–	571
სხვა გადახდილი ავანსები	32	34
	1,522	1,978
სხვა ფინანსური აქტივები		
წარმოებული ფინანსური აქტივები	396	651
გარანტიებზე და აკრედიტებზე დარიცხული მისაღები საკომისიო	56	86
ფულადი სახსრები ანგარიშსწორების პროცესში	45	548
სხვა	560	624
	1,057	1,909
სხვა აქტივები, სულ	2,579	3,887

13. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

მასობრივი საცალო სასესხო პორტფელის გაყიდვის შემდეგ ბანკმა ჩამოწერა 200 ათასი ლარის საცალო პლასტიკური ბარათი, რომელიც მარაგებში იყო შეტანილი (21-ე შენიშვნა).

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად, მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საიჯარო აქტივისა თუ ვალდებულების თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.

	2024			2023		
	სამართლიანი ღირებულებები			სამართლიანი ღირებულება		
	პირობითი თანხა	აქტივი	ვალდებულება	პირობითი თანხა	აქტივი	ვალდებულება
ფორვარდები/სვოპები – ადგილობრივი	118,639	396	427	154,653	651	786
სულ წარმოებული აქტივები/ვალდებულებები		396	427		651	786

ცხრილში „ადგილობრივი“ აღნიშნავს ქართულ საწარმოებს.

სხვა ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
სხვა ფინანსური ვალდებულებები		
ფულადი სახსრები ანგარიშსწორების პროცესში	3,033	3,301
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	427	786
ვალდებულებები და დარიცხული ხარჯები	323	496
	3,783	4,583
სხვა არაფინანსური ვალდებულებები		
დასაქმებულებზე გასაცემი ხელფასები	4,835	4,686
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	102	–
გადავადებული შემოსავალი	27	29
	4,964	4,715
სხვა ვალდებულებები, სულ	8,747	9,298

14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

	შენიშვნა	2024	2023
არარეზიდენტი კომერციული ბანკებისგან მიღებული ვადიანი ანაბრები და სესხები		85,499	69,460
რეზიდენტი კომერციული ბანკებისგან მიღებული ვადიანი ანაბრები		21,729	–
საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხი		20,024	–
ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული ანაბრები		12,997	12,509
აქციონერისგან მიღებული ოვერდრაფტი	26	7,290	7,786
არარეზიდენტი კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშები		640	–
აქციონერის მიმდინარე ანგარიშები	26	514	384
რეზიდენტი კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშები		8	–
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		148,701	90,139

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არარეზიდენტი კომერციული ბანკებისგან მიღებული ვადიანი ანაბრები და სესხები შედგება სამი არარეზიდენტი ბანკის აშშ დოლარში გამოხატული ანაბრებისა და სესხებისგან (2023 წ.: საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს და სხვა არარეზიდენტი ბანკის აშშ დოლარში გამოხატული ანაბრები და სესხები).

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ოთხი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი ანაბრები გამოხატული იყო აშშ დოლარსა და ლარში და ვადა ეწურებოდა 2025 წლის იანვარსა და თებერვალში.

საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებული სესხები წარმოადგენს ლარში რეფინანსირებულ მოკლევადიან კრედიტებს, რომლებითაც ბანკი ლარში ლიკვიდობის საჭიროებას იკმაყოფილებს. ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული ანაბრები წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროსგან რეფინანსირების ინსტრუმენტის სახით მოზიდულ 7,516 ათასი ლარის მოკლევადიან სახსრებს, საქართველოს ეროვნული ბანკის ანალოგიურად, და ბანკის მიერ შესყიდული ანალოგიური პირობების მქონე სახაზინო ობლიგაციების სანაცვლოდ სამინისტროს მიერ ლიკვიდობის მხარდასაჭერად განთავსებულ 5,481 ათასი ლარის გრძელვადიან ანაბარს.

15. ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე

ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე მოიცავს:

	2024	2023
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები	104,978	110,025
ვადიანი ანაბრები (სადეპოზიტო სერტიფიკატების ჩათვლით)	289,308	178,830
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	394,286	288,855
გაცემული გარანტიების უზრუნველყოფა (მე-19 შენიშვნა)	49,504	3,908

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე მოიცავდა ათი უმსხვილესი მომხმარებლის ნაშთებს 231,574 ათასი ლარის ოდენობით, რაც მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშების 58.73%-ს შეადგენდა (2023 წლის 31 დეკემბერი: 165,290 ათასი ლარი, რაც მომხმარებელთა მთლიანი ანგარიშების 57.22%-ს შეადგენდა).

მომხმარებელთა ანგარიშების ანალიზი ეკონომიკის სექტორების მიხედვით:

	2024	2023
ფიზიკური პირები	77,595	61,041
ვაჭრობა და მომსახურება	76,871	93,583
საინვესტიციო საწარმოები	56,506	–
არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	52,640	22,461
დაზღვევა	48,968	88,278
მშენებლობა	37,406	16,797
სახელმწიფო ორგანოები	25,832	1,213
ენერგეტიკა	16,020	3,769
უძრავი ქონების მართვა	1,226	748
აგრო	271	299
ტრანსპორტირება და ტელეკომუნიკაცია	86	58
სამთო მრეწველობა	73	12
სხვა	792	596
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	394,286	288,855

საინვესტიციო საწარმოების მიმდინარე ანგარიშები 56,506 ათასი ლარის ოდენობით მთლიანად შედგება დაკავშირებული მხარის – შპს „პაშა ჰოლდინგის“ ანგარიშებისგან (26-ე შენიშვნა). ამ მომხმარებელთა ანგარიშების ფინანსური დანახარჯი 2024 წლისთვის იყო 365 ათასი ლარი (26-ე შენიშვნა).

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული სესხები:

	2024	2023
აქციონერისგან მიღებული სუბორდინირებული სესხი (26-ე შენიშვნა)	15,205	14,395
სუბორდინირებული სესხი არარეზიდენტი კომერციული ბანკისგან	14,100	–
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მიღებული სუბორდინირებული სესხი (26-ე შენიშვნა)	4,226	13,321
სუბორდინირებული სესხები	33,531	27,716

2019 წლის 19 დეკემბერს ბანკმა აქციონერისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიიღო აშშ დოლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხები, რომელთა წლიური საპროცენტო განაკვეთი 5%-ია, ხოლო დაფარვის ვადა 2025 წლის დეკემბერში იწურება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინსტრუმენტების საბაზრო განაკვეთებზე დაბალია, ამიტომ სესხის აღიარება სამართლიანი ღირებულებით მოხდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სესხის სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის 1,155 ათასი ლარის სხვაობა აისახა დამატებით შეტანილ კაპიტალში. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 5.88%-ია.

2023 წლის მაისში აქციონერისგან მიღებული სუბორდინირებული სესხის ვადა გაგრძელდა და იწურება 2030 წლის დეკემბერში, ხოლო მისი საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 8%-ია 2025 წლის დეკემბრის შემდეგ. 2023 წელს ბანკმა აღიარა 955 ათასი ლარის მოდიფიცირებით განპირობებული ზარალი.

2024 წლის მარტში ბანკმა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან დამატებით მოიპოვა აშშ დოლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხი 1,500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, წლიური 8%-იანი საპროცენტო განაკვეთით, რომლის ვადაც 2031 წლის მარტში იწურება. 2024 წლის დეკემბერში ბანკმა არარეზიდენტი კომერციული ბანკისგან მიიღო აშშ დოლარში გამოხატული სუბორდინირებული სესხი 5,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 8.5%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომლის დაფარვის ვადა 2031 წლის დეკემბერში იწურება. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საპროცენტო განაკვეთი ამ სესხებზე ექცევა ანალოგიური ინსტრუმენტების საბაზრო განაკვეთების დიაპაზონში.

2024 წლის დეკემბერში საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხები, რომლებიც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის დაუფარავი იყო, დაიფარა ვადის ამოწურვამდე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სუბორდინირებული სესხები არ არის გამოსყიდვადი მათი დაფარვის ვადის ამოწურვამდე. გაკოტრების შემთხვევაში სუბორდინირებული სესხების დაფარვა მოხდება მას შემდეგ, რაც სრულად დაიფარება ბანკის ყველა სხვა ვალდებულება.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულებებში კაპიტალად კონვერტაციის უფლება ჩადებული არ არის. სუბორდინირებული სესხების ამორტიზებული ღირებულება, რომელიც აკმაყოფილებდა მეორად კაპიტალში ჩართვის პირობას სებ-ის მოთხოვნების მიხედვით (ბაზელ III-ის საფუძველზე), შეადგენდა 32,278 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 16,135 ათასი ლარი).

სუბორდინირებული სესხების საბალანსო ღირებულების ცვლილების დინამიკა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	სუბორდინირებული ვალი
2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	27,716
შემოსულობა	17,986
დაფარვა	(14,064)
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	1,893
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,531

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

16. სუბორდინირებული ვალი (გაგრძელება)

სუბორდინირებული სესხების საბალანსო ღირებულების ცვლილების დინამიკა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	სუბორდინირებული ვალი
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	26,559
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	1,157
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27,716

17. გადასახადები

2023 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის განაკვეთი საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის 20%-ია.

მოგების გადასახადის სარგებელი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოიცავდა შემდეგს:

	2024	2023
მიმდინარე გადასახადის ხარჯი	–	–
გადავადებული საგადასახადო სარგებელი	4,421	–
მოგების გადასახადის სარგებელი	4,421	–

ბანკის მოგება იბეგრება 20%-იანი საგადასახადო განაკვეთით. მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. კანონმდებლობით გათვალისწინებული და რეალური განაკვეთების მოგების გადასახადის სარგებლის შეჯერება ასეთი გამოიყურება:

	2024	2023
მოგება დაბეგრამდე	3,872	1,700
კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	20%	20%
თეორიული მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი კანონმდებლობით დადგენილი განაკვეთის შემთხვევაში	(774)	(340)
გადასახადით დაუბეგრავი მოგება	267	162
გამოუქვითავი ხარჯები	(215)	(59)
წლის განმავლობაში გამოყენებული საგადასახადო ზარალი	1,033	237
ცვლილება აუდიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივში	4,110	–
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	4,421	–

ბანკის დაგროვილი საგადასახადო ზარალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 20,551 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 25,718 ათასი ლარი), რომელზეც, ფინანსური შედეგების ბოლოდროინდელი გაუმჯობესების გათვალისწინებით, ბანკმა აღიარა 4,110 ათასი ლარის გადავადებული საგადასახადო აქტივები მომავალ პერიოდში გადასატან საგადასახადო ზარალებზე. ბანკის საგადასახადო ზარალი 2019 წლიდან გროვდება. 2024 წელს ბანკმა მიიღო 5,166 ათასი ლარის საგადასახადო მოგება (2023 წ.: 11,516 ათასი ლარი) და გამოიყენა 1,033 ათასი ლარის (2023 წ.: 237 ათასი ლარი) ამ პერიოდში გადატანილი დაგროვილი საგადასახადო ზარალი. მომავალ პერიოდში გადასატანი საგადასახადო ზარალები იწურება 5 წელიწადში და შესაძლებელია ვადის გახანგრძლივება 10 წლამდე, თუ საწარმო ვადის გაგრძელებას მოითხოვს. ბანკი გეგმავს საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანის ვადის გაგრძელების მოთხოვნას 2025 წლის განმავლობაში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

17. გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი ცვლილების დინამიკა შესაბამის პერიოდში ასეთია:

	2023	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	2024
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების დაბეგვრის შედეგი			
მომავალ პერიოდში გადასატანი საგადასახადო ზარალი	–	4,110	4,110
საიჯარო ვალდებულებები	627	(484)	143
ძირითადი საშუალებები	168	30	198
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1	(1)	–
სხვა ვალდებულებები	(44)	88	44
სუბორდინირებული ვალი	156	74	230
გადავადებული საგადასახადო აქტივი	908	3,817	4,725
დასაბეგრი დროებითი სხვაობების დაბეგვრის შედეგი			
არამატერიალური აქტივები	(308)	189	(119)
აქტივების გამოყენების უფლება	(609)	468	(141)
სხვა აქტივები	9	(53)	(44)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(908)	604	(304)
გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	–	4,421	4,421
	2022	მოგება-ზარალის ანგარიშგებაში	2023
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების დაბეგვრის შედეგი			
მომავალ პერიოდში გადასატანი საგადასახადო ზარალი	237	(237)	–
საიჯარო ვალდებულებები	1,379	(752)	627
ძირითადი საშუალებები	336	(168)	168
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1	–	1
სხვა აქტივები	25	(16)	9
სუბორდინირებული ვალი	110	46	156
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,088	(1,127)	961
დასაბეგრი დროებითი სხვაობების დაბეგვრის შედეგი			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	(98)	98	–
არამატერიალური აქტივები	(171)	(137)	(308)
მომხმარებელზე გაცემული სესხები	(885)	885	–
აქტივის გამოყენების უფლება	(1,393)	784	(609)
სხვა ვალდებულებები	459	(503)	(44)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(2,088)	1,127	(961)
გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება)/აქტივი	–	–	–

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

18. საკუთარი კაპიტალი

2023 წლის 7 ივლისს ბანკის მფლობელობის სტრუქტურა შეიცვალა და, ღს „პაშა ბანკთან“ ერთად, შპს „პაშა ჰოლდინგი“ გახდა ბანკის აქციონერი, 90.2019% და 9.7981% წილობრივი მონაწილეობით, შესაბამისად.

2023 წლის სექტემბერში შპს „პაშა ჰოლდინგმა“ სააქციო კაპიტალში განახორციელა 7,800 ათასი ლარის შენატანი ბანკის მიერ გამოშვებული 7,800,000 ჩვეულებრივი აქციის სანაცვლოდ. მფლობელობის სტრუქტურამ კვლავ განიცადა ცვლილება, რის შედეგადაც ღს „პაშა ბანკი“ გახდა აქციების 85.0588%-ის, ხოლო შპს „პაშა ჰოლდინგი“ – აქციების 14.9412%-ის მფლობელი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ნებადართული, გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული კაპიტალი 136,800 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც შედგებოდა 1.00 ლარის ნომინალური ღირებულების 136,800,000 ჩვეულებრივი აქციისგან (2023 წ.: 136,800 ათასი ლარი, რომელიც შედგება 136,800,000 ჩვეულებრივი აქციისგან). ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების განაწილების გამოცხადება ბანკის აქციონერს შეუძლია მხოლოდ ბანკის წმინდა მოგებიდან, რომელიც ასახულია ბანკის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბანკი ვალდებულია, ოფიციალურად აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს დივიდენდების გამოცხადების შესახებ, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, შეაჩეროს ან შეზღუდოს დივიდენდების განაწილება, თუ ბანკი დაარღვევს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებს.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს აქციონერისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხების საწყისი აღიარებისას მათ სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას.

19. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმებთან მიმართებაში, რათა პოზიტიური გავლენა მოეხდინა საინვესტიციო კლიმატზე. მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შეფასებით, 2024 წლის დეკემბერში მშპ-ის ზრდამ შეადგინა 6.7%, რის შედეგადაც საშუალო ზრდა გაუტოლდა 9.5%-ს წინა წელთან შედარებით. ზრდის განმაპირობებელი მთავარი ფაქტორები იყო სადაზღვევო საქმიანობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება, ვაჭრობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია. უკუსვლა შეიმჩნეოდა წარმოებაში. საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, 2024 წლისთვის პროგნოზირებული რეალური ზრდის ტემპი 7.6%-ია.

საქართველოში ინფლაცია მიზნობრივ 3 პროცენტზე ნაკლები რჩება. მიზნობრივთან ახლოს მდგომი ინფლაციის განაკვეთი მეტწილად უზრუნველყოფილი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული მონეტარული პოლიტიკით. საქართველოს ეროვნული ბანკის განახლებული პროგნოზის მიხედვით, თუ სხვა ყველა მაჩვენებელი თანაბარია, ფასების საერთო დონეების ზრდა საშუალო ვადაში მიზნობრივ 3%-თან ახლოს შენარჩუნდება.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა ინარჩუნებს ლიკვიდობის მძლავრ პოზიციებს სეზონის ღონისძიებების დახმარებით, რომლებიც მიზნად ისახავს საბანკო სექტორის მედეგობის განმტკიცებას. ბანკი აქტიურად ცდილობს უმოქმედო სესხების გონივრულ დონეზე შენარჩუნებას დროული რესტრუქტურის ღონისძიებებისა და აქციონერისგან მიღებული მხარდაჭერის წყალობით, ასევე სესხების ამოღების მკაცრი ზომებით. ბანკი აგრძელებს თავის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე ცვალებადი მიკრო და მაკროეკონომიკური პირობების გავლენის შეფასებას.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და საკმაოდ ხშირ ცვლილებას. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ექვემდებარებოდნენ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები ბანკის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. ეს შეიძლება მომავალში შეეხოს ისეთ ოპერაციებსა და საქმიანობასაც, რომლებიც ადრე ექვემდებარებოდნენ არ დამდგარა. ამის გამო შეიძლება დაირიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. 2022 წლის ბოლომდე ფისკალური პერიოდები შეფასებულია საგადასახადო რისკის თვალსაზრისით შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადახდელთა ოფისის მიერ. ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რისკები არ გამოვლენილა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედ შესაბამის კანონმდებლობას ადეკვატურად განმარტავს და რომ ბანკს დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

იურიდიული საკითხები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია ბანკის წინააღმდეგ სარჩელები აღიმართოს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

პირობითი ვალდებულებები

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს შემდეგი პირობითი ვალდებულებები ჰქონდა:

	2024	2023
საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები		
გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები	27,803	97,545
აკრედიტივები	264	–
	28,067	97,545
ვალდებულების შესრულების გარანტია	55,723	86,921
პირობითი ვალდებულებები	83,790	184,466
ანარიცხები საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის	(300)	(914)
აკრედიტივების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ანაბრები (მე-15 შენიშვნა)	(49,504)	(3,908)

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ასე გამოიყურება:

	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	სულ
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	27,803	–	27,803
აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(123)	–	(123)
აკრედიტივები	264	–	264
აკრედიტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1)	–	(1)
ვალდებულების შესრულების გარანტია	55,203	520	55,723
ვალდებულების შესრულების გარანტიაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(170)	(6)	(176)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სტადიებად წარმოდგენილი დაუფარავი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ასე გამოიყურება:

	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
აუთვისებელი საკრედიტო ხაზები	96,405	1,130	10	97,545
აუთვისებელ საკრედიტო ხაზებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(557)	(38)	(8)	(603)
ვალდებულების შესრულების გარანტია	86,921	–	–	86,921
ვალდებულების შესრულების გარანტიაზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(311)	–	–	(311)

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი ასე გამოიყურება (აკრედიტივიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი):

	გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები	ვალდებულების შესრულების გარანტიები და აკრედიტივები	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(603)	(311)	(914)
ახალი დავალიანება	(1,039)	(174)	(1,213)
ვადამოსული დავალიანება	1,033	200	1,233
პორტფელის გაყიდვა (მე-7 შენიშვნა)	462	–	462
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	24	108	132
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(123)	(177)	(300)

ვინაიდან მასობრივი საცალო პორტფელის გაყიდვის თარიღისთვის გაყიდულ პორტფელთან დაკავშირებული აუთვისებელი საკრედიტო ხაზები შეადგენდა 72,783 ათას ლარს მთლიანობაში, მისთვის შეიქმნა 462 ათასი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებში მომხდარი ცვლილების ანალიზი:

	გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები	ვალდებულების შესრულების გარანტია	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(356)	–	(356)
ახალი დავალიანება	(564)	–	(564)
ვადამოსული დავალიანება	317	–	317
სავალუტო კურსის და სხვა ცვლილების დინამიკა	–	(311)	(311)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(603)	(311)	(914)

20. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან

წმინდა შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
გაცემული გარანტიები და აკრედიტივები	1,172	1,509
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	777	2,603
საანგარიშსწორებო ოპერაციები	603	632
საკასო ოპერაციები	205	130
შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან	2,757	4,874
ოპერაციები პლასტიკური ბარათებით	(949)	(1,344)
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(491)	(958)
საკასო ოპერაციები	(3)	(5)
სხვა	(17)	(259)
საკომისიო ხარჯი	(1,460)	(2,566)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	1,297	2,308

ამონაგები მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ბანკის ამონაგებს მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ძირითადად წარმოადგენს შემოსავალი საზღაურიდან და საკომისიო მოსაკრებლიდან. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულმა ამონაგებმა მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შეადგინა 2,757 ათასი ლარი (2023 წ.: 4,874 ათასი ლარი).

მომხმარებელბთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, ბანკმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარა შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2024	2023
გადავადებული შემოსავალი (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში)	27	29

ბანკი, როგორც წესი, საზღაურს და საკომისიოს იღებს შესაბამისი გარიგების დასრულებამდე ან დასრულებისთანავე (ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომელთა მიხედვითაც შესასრულებელი ვალდებულება სრულდება დროის გარკვეულ მომენტში, მაგალითად ანგარიშსწორების ოპერაციები). დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურებისთვის (მაგალითად, მომსახურება, რომელზეც მიიღება გარანტიების და აკრედიტივების გაცემის საზღაური) ბანკი, ჩვეულებრივ, წინასწარ მოითხოვს თვითურ, კვარტალურ ან წლიურ საკომისიოს, რომელიც ფარავს მთლიანი სახელშეკრულებო პერიოდის შესაბამის მონაკვეთს.

ბანკმა აღიარა 16 ათასი ლარის ამონაგები მომხმარებელბთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ასახულია გადავადებულ შემოსავალში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

21. პერსონალზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

პერსონალზე გაწეული, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ხელფასები	16,010	18,922
პრემიები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	5,868	5,291
პერსონალზე გაწეული ხარჯი	21,878	24,213
პროფესიული მომსახურება	1,865	2,663
საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნიკური მომსახურება	1,433	1,613
მოკლევადიანი იჯარები	751	619
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	279	231
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	272	102
კომუნიკაციები	270	437
პერსონალის გადამზადება	242	441
საცალო პლასტიკური ბარათების ჩამოწერა (მე-13 შენიშვნა)	200	–
მგზავრობისა და სამივლინებო ხარჯები	180	200
სარეკლამო ხარჯი	160	2,238
დაზღვევა	155	152
კომუნალური მომსახურება	151	193
საწევრო შენატანები	144	141
საოფისე მარაგები	130	368
ანაზრის დაზღვევის საკომისიო	105	62
ქველმოქმედებაზე გაწეული დანახარჯები	63	60
ტექნიკური მომსახურება და ექსპლუატაცია	50	72
კადრების შერჩევის ხარჯი	24	52
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	10	23
სხვა	140	186
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6,624	9,853

პერსონალზე გაწეული ხარჯი მოიცავს იმ დასაქმებულისთვის გადახდილ 1,267 ათასი ლარის კომპენსაციას, რომელთა შრომითი ხელშეკრულებები შეწყდა მასობრივი საცალო დაკრედიტების შეჩერების გამო.

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება, პროფესიული მომსახურების საზღაურის ჩათვლით, 31 დეკემბრით დასრულებული 2024 და 2023 წლებისთვის მოიცავს შემდეგს (დღ-ის გარეშე):

	2024	2023
საზღაური ბანკის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური		
ანგარიშგების აუდიტისთვის	130	125
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	63	51
სულ საზღაურები და ხარჯები	193	176

სხვა პროფესიული აუდიტორული ფირმებისთვის მათ მიერ გაწეულ სხვა პროფესიულ მომსახურებაში გადახდილი საზღაური და ასანაზღაურებელი დანახარჯები 2024 წელს შეადგენდა 10 ათას ლარს (2023 წ.: 9 ათასი ლარი).

ბანკში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის განმავლობაში იყო 249, მათ შორის, ზედა რგოლის საშუალოდ 4 ხელმძღვანელი, შუა რგოლის საშუალოდ 37 ხელმძღვანელი, საშუალოდ 203 სხვა დასაქმებული და დროებითი მომსახურების ხელშეკრულებებით დაქირავებული საშუალოდ 5 დასაქმებული (2023 წ.: დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 387, მათ შორის ზედა რგოლის საშუალოდ 3 ხელმძღვანელი, შუა რგოლის საშუალოდ 52 ხელმძღვანელი, საშუალოდ 322 სხვა დასაქმებული და დროებითი მომსახურების ხელშეკრულებებით დაქირავებული საშუალოდ 10 დასაქმებული).

22. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
ზარალი არამატერიალური აქტივების ჩამოწერიდან	1,073	–
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან და ჩამოწერიდან	302	19
ზარალი აქტივის გამოყენების უფლებების ჩამოწერიდან	53	–
სხვა	126	–
სხვა საოპერაციო ხარჯები	1,554	19

არამატერიალური აქტივების ჩამოწერიდან მნიშვნელოვანი ოდენობის ზარალი მიკუთვნება მასობრივი საცალო პორტფელის გაყიდვისთვის, რაც მე-12 შენიშვნაშია აღწერილი.

23. რისკის მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორცაა ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის უწყვეტი მომგებიანობისთვის და ბანკში თითოეული პირი არის ანგარიშვალდებული თავის მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკებზე. ბანკის საქმიანობას, ძირითადად, საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები ახასიათებს. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. ისინი კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკების მართვის საერთო მიდგომის ჩამოყალიბებასა და რისკების მართვის სტრატეგიებისა და პრინციპების დამტკიცებაზე.

რისკის კომიტეტი

რისკის კომიტეტი ზოგადად არის პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიის შემუშავებასა და პრინციპების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და ლიმიტების დანერგვაზე. იგი პასუხს აგებს რისკის ძირითად საკითხებზე და მართავს და მონიტორინგს უწევს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

რისკის მართვა

რისკის მართვის განყოფილებას ევალება რისკის მართვის სისტემის განსაზღვრა, დანერგვა და მართვა.

ექსტრ-პასივების კომიტეტი

ექსტრ-პასივების კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების, და მთლიანი ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია ბანკის დაფინანსების, ლიკვიდობის, საპროცენტო განაკვეთისა და კაპიტალის ადეკვატურობის რისკებზე.

შიდა აუდიტი

რისკის მართვის პროცესებს მთელ ბანკში შემოწმებას მუდმივად უტარებს შიდა აუდიტის განყოფილება. იგი ამოწმებს პროცედურების ადეკვატურობას, მათ სტრუქტურას და ეფექტურობას, ასევე ბანკის შესაბამისობას მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნებთან და შიდა პროცედურებთან. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს რისკებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, მართავს და ზედამხედველობას უწევს ბანკის სხვა განყოფილებების მიერ რისკებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს და კონტროლის ფუნქციების შესრულებას, რომლებიც უკავშირდება კონტროლის საერთო გარემოს, ხელით შესრულებული, ტექნოლოგიებზე დამოკიდებული ან კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით კონტროლის მექანიზმებს, რისკის გამიზნულად ან უნებლიეთ არასწორად შეფასებას, თაღლითობის, ან ქონების მითვისების რისკს, ინფორმაციის დაცვას, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას, და სხვ. აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომელთაგან ორი დამოუკიდებელია.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს. გარდა ამისა, ბანკი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკისადმი ზოგად მდგრადობას რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით. რისკებთან დაკავშირებით ყველა განყოფილება ანგარიშგალდებულია აქტივ-პასივების კომიტეტის მიმართ. შესაბამისი შეხვედრები თვეში ერთხელ ტარდება.

რისკის ჭარბი კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ბანკის საქმიანობის მეტ მგრძნობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი განიცდის ზარალს, თუ მისი მომხმარებლები, მომხმარებლები ან კონტრაქტები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული მონაწილე მხარეებისთვის და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით.

ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

მსესხებლის მიერ ლიმიტების დარღვევის მონიტორინგი ხდება გაცემულ სესხებზე. საკრედიტო კომიტეტი შეიძლება ამ ლიმიტების შეცვლის ინიციატივით გამოვიდეს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი ითხოვს გირაოს და კომპანიის თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება გარანტიის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე და ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

გაუფასურების შეფასება

ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი უკმარისობა, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად ბანკისთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

დეფოლტის ალბათობა	დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ სესხის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება	დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება არის დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის განსაზღვრული დავალიანება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (დაფარვის გრაფიკის მიხედვით ან არა), სესხის გაცემის ვალდებულებების ფარგლებში კრედიტების მოსალოდნელ ათვისებას და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხულ პროცენტს.
დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში	დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების (EAD) პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვის შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი დაყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შემდგომად ან შექმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

- 1-ელი სტადია: სესხების თავდაპირველი აღიარებისას ბანკი ქმნის რეზერვს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
- მე-2 სტადია: როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ბანკი ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
- მე-3 სტადია: სესხები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულად მიიჩნევა. ბანკის ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
- შემეწილი ან შექმნილი გაუფასურებული: შემეწილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შემეწილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით საწყისი აღიარებისას და საპროცენტო ამონაგების აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დეფოლტის და გამოსწორების განმარტება

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტს გადაუხდელოდ და, შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსაანგარიშებლად, მე-3 სტადიაზე მყოფად (საკრედიტო რისკით გაუფასურებულად) მიიჩნევს მაშინ, როდესაც მსესხებელი 90 დღით დააგვიანებს ხელშეკრულების თანახმად გადახდას. ბანკი სხვა ბანკებისგან მისაღებ თანხებს მიიჩნევს გადაუხდელოდ და იღებს დაუყოვნებლივ ზომებს მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში მოთხოვნილი გადახდები არ იფარება სამუშაო დღის დახურვის დროისთვის ცალკეული ხელშეკრულებების შესაბამისად.

იმის ხარისხობრივი შეფასებისას, მომხმარებელს დარღვეული აქვს თუ არა გადახდის პირობა, ბანკი ასევე განიხილავს სხვადასხვა შემთხვევას, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ გადახდა არ არის მოსალოდნელი. ასეთი მოვლენების დადგომისას, ბანკი საგულდაგულოდ ამოწმებს მომხმარებლის სტატუსს, რათა, თუ მან არ შეასრულა ვალდებულება, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას მიაკუთვნოს მე-3 სტადიას, ან ხომ არ არის მე-2 სტადია უფრო მართებული.

ბანკმა განსაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რომ აქტივი გამოსწორებულად ჩაითვალოს. გადაწყვეტილება იმის შესახებ, აქტივი მეორე სტადიას უნდა მიეკუთვნოს თუ პირველს, დამოკიდებულია დეფოლტის აღმოფხვრისას განახლებულ საკრედიტო რეიტინგზე, და იმაზე, ხომ არ მიანიშნებს ეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდაზე თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

შიდა რეიტინგი და დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი

ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება თავის საქმიანობაში შიდა რეიტინგის მოდელს ეყრდნობა. ბანკი სხვადასხვა მოდელს იყენებს თავისი კორპორაციული და კომერციული პორტფელისთვის, რომლებითაც თავის მომხმარებლებს ანიჭებს შიდა რეიტინგის შეფასებებს Aaa-დან Ca-C-ის ჩათვლით. მოდელები მოიცავს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და, მსესხებლის დამახასიათებელ ინფორმაციასთან ერთად, იყენებენ დამატებით გარე ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა იმოქმედონ მსესხებლის ქცევაზე. თუ შესაძლებელია, ისინი ასევე ეყრდნობა ადგილობრივი და საერთაშორისო გარე სარეიტინგო სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციას. თითოეულ სტადიას ენიჭება დეფოლტის ალბათობები, რომლებიც მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას და, ფასს 9-ის შესაბამისად, რისკის სტადიების მიხედვით კლასიფიკაციას. იგივე მეორდება თითოეული ეკონომიკური სცენარისთვის, სიტუაციიდან გამომდინარე. რაც შეეხება სამომხმარებლო პორტფელს, მომხმარებლებს ენიჭებათ რეიტინგი A-დან E3-მდე საკრედიტო ბიუროს რეიტინგების სისტემის საფუძველზე.

სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები

ბანკის სახაზინო და ბანკთაშორისი ურთიერთობები და კონტრაქტები არიან ფინანსური მომსახურების გამწვევი დაწესებულებები, ბანკები. ამ ურთიერთობებისთვის ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილება აანალიზებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, როგორცაა ფინანსური ინფორმაცია და სხვა გარე მონაცემები, მაგალითად, გარე რეიტინგები, და მათ ანიჭებს შიდა რეიტინგს ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

შიდა რეიტინგის შეფასება	გარე რეიტინგი	დეფოლტის ალბათობა	შიდა სარეიტინგო განმარტება
1 კლასი	Aaa	0.00117%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa1	0.00205%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa2	0.00359%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa3	0.00630%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A1	0.01105%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A2	0.01938%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A3	0.03398%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Baa1	0.05959%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Baa2	0.10446%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Baa3	0.18307%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba1	0.32064%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba2	0.56101%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba3	0.97980%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	B1	1.70587%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	B2	2.95392%	სტანდარტული შეფასება
3 კლასი	B3	5.06799%	სტანდარტული შეფასება
3 კლასი	Caa1	8.56159%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	Caa2	14.10565%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	Caa3	22.36178%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	Ca-C	33.56211%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
ვალდებულების შეუსრულებლობა		100.0000%	გაუფასურებული

კორპორაციული და კომერციული სესხები

კორპორაციული და კომერციული სესხების შემთხვევაში, მსესხებლებს აფასებენ ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების სპეციალისტები. საკრედიტო რისკის შეფასება ეყრდნობა კრედიტუნარიანობის შეფასების მოდელს, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა ისტორიულ, მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციას, როგორიცაა:

- ▶ ისტორიული ფინანსური ინფორმაცია, მომხმარებლის მიერ მომზადებულ პროგნოზებთან და ბიუჯეტებთან ერთად. ეს ფინანსური ინფორმაცია მოიცავს რეალიზებულ და მოსალოდნელ შედეგებს, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის და სხვა შესაბამის კოეფიციენტებს, რომლებითაც ფასდება მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა. ზოგიერთი ეს მაჩვენებელი ჩადებულია მომხმარებლებთან შეთანხმების პირობებში და ამიტომ, მეტი ყურადღებით ფასდება;
- ▶ მესამე მხარეებისგან კლიენტების შესახებ მიღებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. ეს გულისხმობს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ გარე რეიტინგებს, დამოუკიდებელი ანალიტიკოსების ანგარიშებს, საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ობლიგაციების ფასებს, პრესრელიზებს და სტატიებს;
- ▶ ნებისმიერი მაკროეკონომიკური ან გეოპოლიტიკური ინფორმაცია, მაგალითად, მშპ-ის ზრდა, რომელიც აქტუალურია კონკრეტული დარგისთვის და გეოგრაფიული სემენტებისთვის, რომლებშიც კლიენტი ეწევა საქმიანობას;
- ▶ ნებისმიერი სხვა ობიექტური და გადამოწმებადი ინფორმაცია კლიენტის მმართველობის ხარისხისა და უნარების შესახებ, რაც განსაზღვრავს კომპანიის საქმიანობას.

სამომხმარებლო სესხები

სამომხმარებლო დაკრედიტება გულისხმობს კლიენტებისთვის სესხების, საკრედიტო ბარათებისა და ოვერდრაფტების შეთავაზებას. ამ პორტფელის საკრედიტო რისკი და სესხებზე შესაძლო დანაკარგების შესაბამისი რეზერვი მოქმედი სესხების შემთხვევაში ფასდება კოლექტიურად, ხოლო უმოქმედო სესხების შემთხვევაში – ინდივიდუალურად.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკის მიერ შიდა საკრედიტო რეიტინგი კორპორაციული და კომერციული სეგმენტებისთვის ასე გამოიყურება:

შიდა რეიტინგის შეფასება	შიდა რეიტინგი	დეფოლტის ალბათობა	შიდა სარეიტინგო განმარტება
1 კლასი	Aaa	0.00117%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa1	0.00205%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa2	0.00359%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Aa3	0.00630%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A1	0.01105%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A2	0.01938%	მაღალი შეფასება
1 კლასი	A3	0.03398%	მაღალი შეფასება
1 კლასი	Baa1	0.05959%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Baa2	0.10446%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Baa3	0.18307%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba1	0.32064%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba2	0.56101%	სტანდარტული შეფასება
1 კლასი	Ba3	0.97980%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	B1	1.70587%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	B2	2.95392%	სტანდარტული შეფასება
3 კლასი	B3	5.06799%	სტანდარტული შეფასება
3 კლასი	Caa1	8.56159%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	Caa2	14.10565%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	Caa3	22.36178%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	Ca-C	33.56211%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
	ვალდებულების შეუსრულებლობა	100.0000%	გაუფასურებული

ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგი სამომხმარებლო სეგმენტებისთვის ასე გამოიყურება:

შიდა რეიტინგის შეფასება	შიდა რეიტინგი	დეფოლტის ალბათობა	შიდა სარეიტინგო განმარტება
1 კლასი	A	0.0150%	მაღალი შეფასება
1 კლასი	B	0.0200%	მაღალი შეფასება
1 კლასი	C1	0.0250%	მაღალი შეფასება
1 კლასი	C2	0.0350%	მაღალი შეფასება
1 კლასი	C3	0.0500%	მაღალი შეფასება
2 კლასი	D1	0.0700%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	D2	0.0900%	სტანდარტული შეფასება
2 კლასი	D3	0.1200%	სტანდარტული შეფასება
3 კლასი	E1	0.1500%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	E2	0.2000%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება
3 კლასი	E3	0.2500%	სტანდარტულზე დაბალი შეფასება

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს იმ ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ხდება გაუფასურების გამოთვლა, და ითვალისწინებს როგორც მომხმარებლის უნარს, გაზარდოს დავალიანების მოცულობა დეფოლტის მოახლოებისას, ისე მის უნარს, დავალიანება ვადაზე ადრე დაფაროს. პირველი სტადიის სესხის შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად, ბანკი აფასებს დეფოლტის მოვლენების დადგომის შესაძლებლობას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის გამოთვლის ვადაში – 12 თვის განმავლობაში. მეორე და მესამე სტადიების, ასევე შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში დამდგარი დეფოლტის მოვლენების გათვალისწინებით.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში

საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში ზარალის კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ბანკი მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ბანკი აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ.

ბანკი ასევე მიმართავს შეფასების მეორად, ხარისხობრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორცაა, მაგალითად, მომხმარებლის/სესხის შეყვანა საყურადღებო სიაში ან ანგარიშის რესტრუქტურისა და კრედიტუნარიანობის გამომწვევი მოვლენის დადგომის გამო. საკრედიტო რეიტინგში ცვლილებების მიუხედავად, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, ითვლება, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. საკრედიტო რეიტინგის შემცირება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის კრიტერიუმია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიურ საფუძველზე შეფასებისას მსგავსი აქტივების ჯგუფისთვის, ბანკი იყენებს შეფასების იგივე პრინციპებს იმის განსასაზღვრად, ხომ არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ.

კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების დაჯგუფება

ქვემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე, ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ ან ინდივიდუალურ საფუძველზე.

აქტივების კლასები, რომლებისთვისაც ბანკი ინდივიდუალურად გამოითვლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს:

- ▶ მე-3 სტადიის ყველა აქტივი, ფინანსური აქტივის კლასის მიუხედავად, გარდა სამომხმარებლო პორტფელისა;
- ▶ მე-2 სტადიის და მე-3 სტადიის კორპორაციული და კომერციული პორტფელი;
- ▶ კრედიტის ოდენობა, რომელიც შესაძლოა კლასიფიცირებულ შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებულად, როდესაც თავდაპირველი სესხის აღიარება წყდება და ახალი სესხი აღიარდება სესხის რესტრუქტურისა და შედეგად.

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

აქტივების კლასები ბანკის მიერ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისას კოლექტიურ საფუძველზე მოიცავს შემდეგს:

- ▶ ბანკის კომერციული პორტფელის უფრო მცირე ან უფრო ერთგვაროვანი ნაშთები;
- ▶ 1-ელი სტადიისა და მე-2 სტადიის სამომხმარებლო სესხები;

ბანკი ამ სესხებს აჯგუფებს უფრო მომცრო ერთგვაროვან პორტფელებად, სესხების შიდა და გარე მახასიათებლების ერთობლიობის საფუძველზე, მაგალითად, შიდა რეიტინგის, გადაცილებული ვადების, პროდუქტის ტიპის ან მსესხებლის დარგის მიხედვით.

საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები

თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში ბანკი მთელ რიგ საპროგნოზო ინფორმაციას ეყრდნობა და მათგან იღებს ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორიცაა:

- ▶ მშპ-ის ზრდა;
- ▶ ინფლაცია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები შეიძლება ყოველთვის არ ასახავდეს ბაზრის ყველა მახასიათებელს ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. ამის მხედველობაში მისაღებად, დროებითი შესწორებების სახით ხდება ხარისხობრივი კორექტირებები ან განახლებები, როდესაც ეს სხვაობები საკმაოდ არსებითია.

ბანკი საპროგნოზო ინფორმაციას იღებს სეზ-ის, საქსტატის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, World and Regional Economic Outlooks-ების, S&P Global Ratings-ის და სხვ. მიერ გამოქვეყნებული წყაროებიდან. ბანკის საკრედიტო რისკის განყოფილების ექსპერტები განსაზღვრავენ სხვადასხვა სცენარისთვის მისანიჭებელ წონებს. ცხრილებში მოცემულია ძირითადი საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები/დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკურ სცენარებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად. „მომდევნო წლების“ სვეტში რიცხვები წარმოადგენს გრძელვადიან საშუალო არითმეტიკულს და ამიტომ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა სცენარისთვის ერთი და იგივეა:

			2024 წლის მომდევნო წლები			2023 წლის მომდევნო წლები		
მთავარი ფაქტორები	მოსალოდ- ნელი სა- კრედიტო ზარალის სცენარი	მინიჭებული ალბათობები, %	2025	2026	2027	2024	2025	2026
მშპ-ის ზრდა, %								
ინფლაციის დონე	ოპტიმის- ტური	25%	7.0%	6.0%	6.0%	6.5%	5.5%	5.0%
	საბაზისო სცენარი	50%	4.9%	5.8%	5.7%	5.0%	4.5%	5.0%
	პესიმის- ტური	25%	2.0%	3.0%	5.0%	3.0%	4.0%	5.0%
	ოპტიმის- ტური	25%	3.0%	3.0%	3.0%	3.25%	3.0%	3.0%
	საბაზისო სცენარი	50%	2.9%	3.6%	2.7%	3.6%	3.1%	3.0%
	პესიმის- ტური	25%	8.0%	5.0%	3.0%	5.0%	4.0%	3.0%

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივის კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი იმართება ბანკის შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემით, ზემოთ აღწერილი ფორმით. ქვედა ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივების სხვადასხვა კლასის საკრედიტო ხარისხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საკრედიტო რეიტინგების სისტემაზე დაყრდნობით:

			მთლიანი შეფასება	სტანდარ- ტული შეფასება	სტანდარ- ტულზე დაბალი შეფასება	გაუფასუ- რებელი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულისა	5	1-ელი სტადია	71,787	45,056	653	–	117,496
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	1-ელი სტადია	–	121,693	–	–	121,693
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7		205	291,520	40,315	30,824	362,864
კორპორაციული		1-ელი სტადია	–	154,693	35,319	–	190,012
		მე-3 სტადია	–	–	–	2,210	2,210
კომერციული		1-ელი სტადია	–	133,136	3,445	–	136,581
		მე-2 სტადია	–	2,928	1,266	–	4,194
		მე-3 სტადია	–	–	–	27,571	27,571
		შეძენილი ან შექმნილი გაუფასუ- რებელი	–	–	–	1,011	1,011
სამომხმარებლო		1-ელი სტადია	193	763	285	–	1,241
		მე-2 სტადია	12	–	–	–	12
		მე-3 სტადია	–	–	–	32	32
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	1-ელი სტადია	–	81,548	–	–	81,548
აღთვისებული საკრედიტო ხაზები	19	1-ელი სტადია	7	19,913	7,883	–	27,803
აკრედიტივები ვალდებულების შესრულების გარანტია		1-ელი სტადია	–	264	–	–	264
		1-ელი სტადია	16,230	17,982	20,991	–	55,203
		მე-2 სტადია	–	520	–	–	520
სულ			88,229	578,496	69,842	30,824	767,391

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ცხრილი გვიჩვენებს სხვადასხვა კლასის ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	შენიშვნა		მალალი შეფასება	სტანდარ- ტული შეფასება	სტანდარ- ტულზე დაბალი შეფასება	გაუფასუ- რებული	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გარდა ნაღდი ფულისა	5	1-ელი სტადია	22,703	39,141	24	–	61,868
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6	1-ელი სტადია	–	36,791	–	–	36,791
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7		40,575	272,186	9,440	30,108	352,309
კორპორაციული		1-ელი სტადია	–	135,184	314	–	135,498
		მე-2 სტადია	–	4,943	–	–	4,943
		მე-3 სტადია	–	–	–	6,364	6,364
კომერციული		1-ელი სტადია	–	100,522	3,527	–	104,049
		მე-2 სტადია	–	9,541	1,974	–	11,515
		მე-3 სტადია	–	–	–	18,445	18,445
		შემენილი ან შექმნილი გაუფასუ- რებული	–	–	–	965	965
სამომხმარებლო		1-ელი სტადია	39,982	19,389	2,538	–	61,909
		მე-2 სტადია	593	2,607	1,087	–	4,287
		მე-3 სტადია	–	–	–	4,334	4,334
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	1-ელი სტადია	–	65,648	–	–	65,648
გამოუყენებელი საკრედიტო ხაზები	19	1-ელი სტადია	55,961	39,673	771	–	96,405
		მე-2 სტადია	86	967	77	–	1,130
		მე-3 სტადია	–	–	–	10	10
ვალდებულების შესრულების გარანტია		1-ელი სტადია	16,230	37,533	33,158	–	86,921
სულ			135,555	491,939	43,470	30,118	701,082

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

ბანკის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2024				2023			
	საქარ- თველო	ეთგო	სხვა არა-ეთგო	სულ	საქარ- თველო	ეთგო	სხვა არა-ეთგო	სულ
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,058	31,931	58,463	120,452	30,637	15,076	19,072	64,785
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	121,552	–	–	121,552	36,790	–	–	36,790
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	302,428	33,761	15,311	351,500	312,557	–	23,549	336,106
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	81,069	–	–	81,069	65,230	–	–	65,230
სხვა აქტივები	1,035	12	10	1,057	1,886	14	9	1,909
	<u>536,142</u>	<u>65,704</u>	<u>73,784</u>	<u>675,630</u>	<u>447,100</u>	<u>15,090</u>	<u>42,630</u>	<u>504,820</u>
ვალდებულებები								
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	54,758	1	93,942	148,701	12,509	1	77,629	90,139
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	242,610	21,495	130,181	394,286	186,261	3,960	98,634	288,855
საიჯარო ვალდებულებები	755	–	–	755	3,135	–	–	3,135
სხვა ვალდებულებები	3,764	5	14	3,783	4,520	7	56	4,583
სუბორდინირებულ ი ვალი	–	–	33,531	33,531	–	–	27,716	27,716
	<u>301,887</u>	<u>21,501</u>	<u>257,668</u>	<u>581,056</u>	<u>206,425</u>	<u>3,968</u>	<u>204,035</u>	<u>414,428</u>
წმინდა აქტივები / (ვალდებულებები)	<u>234,255</u>	<u>44,203</u>	<u>(183,884)</u>	<u>94,574</u>	<u>240,675</u>	<u>11,122</u>	<u>(161,405)</u>	<u>90,392</u>

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. აქციონერისგან მოზიდული სახსრები ბანკის საქმიანობას უახლოეს მომავალში საკმარისად უზრუნველყოფს. ბანკის აქტივებს მართავს ისე, რომ უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდობა და ყოველდღიურად აკონტროლებს სამომავლო ფულად ნაკადებსა და ლიკვიდობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ბანკი ფლობს კორპორაციული და ფინანსთა სამინისტროს ობლიგაციების პორტფელს, რომლის დაგირავებაც შესაძლებელია ფულადი სახსრების გაუთვალისწინებელი დეფიციტის შემთხვევაში სებ-იდან სესხის აღების მიზნით. ამასთან, ბანკი ფლობს ფულად დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდულ სამომხმარებლო სახსრებზე.

ლიკვიდობის პოზიციას ბანკი აფასებს და მართავს სებ-ის მიერ დადგენილი გარკვეული ლიკვიდობის კოეფიციენტების საფუძველზე.

ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი გამოითვლება მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფულადი ნაკადების წმინდა გადინებასთან შეფარდებით. ბანკს მოეთხოვება ლიკვიდური აქტივების მარაგის მუდმივად შენარჩუნება, რათა შეეძლოს თავისი გადინებული წმინდა ფულადი ნაკადების დაფარვა 30-დღიანი კალენდარული დღის სტრესული სცენარის შემთხვევაში. ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა, რომელსაც წესებს საქართველოს ეროვნული ბანკი, შეადგენს 100%-ს უცხოურ ვალუტაში ლიკვიდობის გადაფარვის და ლიკვიდობის გადაფარვის გაერთიანებული კოეფიციენტებისთვის და 75%-ს - ეროვნულ ვალუტაში ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტისთვის. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა ლიკვიდობის გადაფარვის შემდეგი კოეფიციენტები აჩვენა:

	2024, %	2023, %
ლარი	162.6	133.4
უცხოური ვალუტა	110.8	145.6
გაერთიანებული	122.4	140.3

წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი ბანკისგან მოითხოვს სტაბილური დაფინანსების პროფილის შენარჩუნებას თავისი აქტივების შემადგენლობასთან და გარეგანულ საქმიანობებთან მიმართებით, რათა შემცირდეს იმის ალბათობა, რომ ბანკის დაფინანსების რეგულარული წყაროების შეწყვეტა მნიშვნელოვნად დააზიანებს მის ლიკვიდობის პოზიციას. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი გამოითვლება სტაბილური დაფინანსების ხელმისაწვდომი ოდენობის შეფარდებით სტაბილური დაფინანსების სავალდებულო ოდენობასთან. სებ-ის მიერ დადგენილი სავალდებულო მინიმალური წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 100%-ია. 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა წმინდა სტაბილური დაფინანსების შემდეგი კოეფიციენტები აჩვენა:

	2024, %	2023, %
წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი	131.6	123.7

ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით

ცხრილში მოცემულია ბანკის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდეს. თუმცა, ბანკი მოელის, რომ შენაბრეთა უმრავლესობა დაფარვას იმაზე ადრე არ მოითხოვს, ვიდრე ეს ბანკს მოეთხოვება. ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც გაწერილია ბანკის დეპოზიტების ფლობის ისტორიაში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	141,241	3,224	6,563	–	151,028
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	150,518	128,382	132,347	–	411,247
საიჯარო ვალდებულებები	57	171	590	–	818
სხვა ფინანსური ვალდებულებები (გარდა წარმოებული ფინანსური ვალდებულებებისა)	3,356	–	–	–	3,356
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	427	–	–	–	427
სუბორდინირებული ვალი	84	2,093	9,056	35,919	47,152
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	295,683	133,870	148,556	35,919	614,028
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	15,566	262	79,250	–	95,078
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	144,748	66,128	94,179	–	305,055
საიჯარო ვალდებულებები	492	1,476	1,376	–	3,344
სხვა ფინანსური ვალდებულებები (გარდა წარმოებული ფინანსური ვალდებულებებისა)	3,797	–	–	–	3,797
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	786	–	–	–	786
სუბორდინირებული ვალი	–	1,367	16,857	14,810	33,034
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	165,389	69,233	191,662	14,810	441,094

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სახელშეკრულებო ვადის ამოწურვას ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის მიხედვით. თითოეული აუთენტიკური საკრედიტო ხაზი, ვალდებულების შესრულების გარანტია და აკრედიტივი შეტანილია იმ ყველაზე ადრეული თარიღით, როდესაც შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება.

	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
2024	19	83,790	–	–	83,790
2023	19	184,466	–	–	184,466

ბანკის ვარაუდით, შესაძლოა ყველა პირობითი ვალდებულება ან უზრუნველყოფა არ იქნას გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათ ლიკვიდაციას წარსულში უფრო მეტი დრო სჭირდებოდა, ვიდრე ეს ცხრილშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ზედა ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

23. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების ცვლილების დინამიკა ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის კურსი და კაპიტალის ფასები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც სავალუტო კურსის ცვლილებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. ბანკს სებ-ის დირექტივების მიხედვით აქვს დაწესებული ლიმიტები სავალუტო პოზიციებზე. პოზიციების კონტროლი წარმოებს ყოველდღიურად.

ქვედა ცხრილებში მოცემულია ვალუტები, რომლებშიც ბანკს მნიშვნელოვანი რისკი ჰქონდა 31 დეკემბრის მდგომარეობით თავის ფულად აქტივებსა და ვალდებულებებზე. ანალიზი გამოითვლის ლართან მიმართებით სავალუტო კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების ეფექტს მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. საკუთარ კაპიტალზე დაბეგვრამდე ეფექტი არ განსხვავდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე ეფექტისგან. ცხრილში უარყოფითი მაჩვენებელი ასახავს პოტენციურ წმინდა შემცირებას მოგება-ზარალის ან საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი მაჩვენებელი ასახავს წმინდა პოტენციურ ზრდას.

ვალუტა	სავალუტო კურსის ცვლილება, 2024 წ.	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2024 წ.	სავალუტო კურსის ცვლილება, 2023 წ.	ეფექტი დასაბეგრ მოგებაზე 2023 წ.
აშშ დოლარი	15%/(15%)	(27)/27	15%/(15%)	164/(164)
ევრო	15%/(15%)	(33)/33	15%/(15%)	29/(29)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება შესაძლებლობიდან, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულად ნაკადებზე ან სამართლიან ღირებულებებზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძნობელობა არის საპროცენტო განაკვეთის ნაგარაუდები ცვლილების ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე ერთი წლის მანძილზე, რაც ეფუძნება 31 დეკემბრისთვის ფლობილ ცვლადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს.

ვალუტა	ზრდა/(ცლება) საბაზისო ერთეულებში, 2024 წ.	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა, 2024 წ.
ლარი	100/(100)	911/(911)
ვალუტა	ზრდა/(ცლება) საბაზისო ერთეულებში, 2023 წ.	წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა, 2023 წ.
ლარი	100/(100)	1,413/(1,413)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, ბანკი შეძლებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

შეფასების ტექნიკის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და წარდგენისათვის ბანკი შემდეგ იერარქიას იყენებს:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა

შემდეგ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი იერარქიული დონეების მიხედვით:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
მომხმარებელზე გაცემული სესხები	–	–	352,312	352,312
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	–	5,576	75,175	80,751
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	–	396	–	396

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	–	140,428	8,370	148,798
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	–	132,375	262,567	394,942
საიჯარო ვალდებულებები	–	–	755	755
სუბორდინირებული ვალი	–	–	33,531	33,531
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	427	–	427

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
მომხმარებელზე გაცემული სესხები	–	–	338,097	338,097
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	–	5,526	59,475	65,001
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	–	651	–	651

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სამართლიანი ღირებულების შეფასება:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	–	15,221	74,607	89,828
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	–	110,616	178,789	289,405
საიჯარო ვალდებულებები	–	–	3,135	3,135
სუბორდინირებული ვალი	–	–	27,716	27,716
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	–	786	–	786

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	აუღიარებელი			აუღიარებელი		
	საბალანსო ღირებულება, 2024 წ.	სამართლიანი ღირებულება, 2024 წ.	შემოსულობა (ზარალი) 2024 წ.	საბალანსო ღირებულება, 2023 წ.	სამართლიანი ღირებულება, 2023 წ.	შემოსულობა (ზარალი) 2023 წ.
ფინანსური აქტივები						
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	351,500	352,312	812	336,106	338,097	1,991
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	81,069	80,751	(318)	65,230	65,001	(229)
სხვა ფინანსური აქტივები	1,057	1,057	–	1,909	1,909	–
ფინანსური ვალდებულებები						
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	148,701	148,798	(97)	90,139	89,828	311
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	394,286	394,942	(656)	288,855	289,405	(550)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	3,783	3,783	–	4,583	4,583	–
საიჯარო ვალდებულებები	755	755	–	3,135	3,135	–
სუბორდინირებული ვალი	33,531	33,531	–	27,716	27,716	–
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			(259)			1,523

24. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები და ვალდებულებები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ შესაბამის სამართლიან ღირებულებებს მათი მოკლევადიანი ხასიათის და ლიკვიდობის გამო, და გრძელდება მათი საბაზრო პირობების მიხედვით გადაფასება. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მათი ხასიათისა და თვისებების გამო, სამართლიანი ღირებულების იერარქიის პირველ დონეს მიეკუთვნება.

წარმოებული ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა დადგენილ შეფასების მეთოდოლოგიებს, რომლებიც განსაზღვრავს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და შეფასების მეთოდებს. მოკლევადიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, ვინაიდან დროითი ღირებულების მიხედვით კორექტირებები მინიმალურია, ბანკი იყენებს დღევანდელი ღირებულების მიდგომას, რომლის მიხედვითაც სამართლიანი ღირებულება მიიჩნევა სააღრიცხვო ღირებულების ეკვივალენტურად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

კოტირებული თამასუქების და ობლიგაციების სამართლიანი ღირებულება ეყრდნობა ფასების კოტირებას საანგარიშგებო თარიღისთვის და მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონეს. არაკოტირებული ინსტრუმენტების, მომხმარებლებზე გაცემული სესხების, მომხმარებელთა ანაზრების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების, სუბორდინირებული სესხის და სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

25. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი მათი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. ბანკის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 23-ე შენიშვნა - „რისკის მართვა“.

	2024			2023		
	ერთი წელში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წელში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	120,452	–	120,452	64,785	–	64,785
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	121,552	–	121,552	36,790	–	36,790
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	159,207	192,293	351,500	128,120	207,986	336,106
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	12,805	68,264	81,069	11,118	54,112	65,230
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	–	19,368	19,368	–	15,710	15,710
ძირითადი საშუალებები	–	1,927	1,927	–	1,922	1,922
აქტივის გამოყენების უფლება	–	704	704	–	3,047	3,047
არამატერიალური აქტივები	–	3,356	3,356	–	4,895	4,895
გადავადებული საგადასახადო აქტივები	–	4,421	4,421	–	–	–
სხვა აქტივები	2,171	408	2,579	3,887	–	3,887
სულ	416,187	290,741	706,928	244,700	287,672	532,372
ვალდებულებები						
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	143,220	5,481	148,701	15,430	74,709	90,139
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	268,574	125,712	394,286	201,438	87,417	288,855
ანარიცხები	300	–	300	914	–	914
საიჯარო ვალდებულებები	–	755	755	18	3,117	3,135
სხვა ვალდებულებები	8,102	645	8,747	8,698	600	9,298
სუბორდინირებული ვალი	–	33,531	33,531	45	27,671	27,716
სულ	420,196	166,124	586,320	226,543	193,514	420,057
წმინდა	(4,009)	124,617	120,608	18,157	94,158	112,315

ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე მოიცავს ყველა მიმდინარე ანგარიშს ან ვადიან ანაზღაურს ერთ წლამდე, თუმცა ბანკი არ მოელის, რომ ეს თანხები სრულად იქნება გატანილი 2025 წლის განმავლობაში. მთლიანი მიმდინარე ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს იურიდიული პირებისგან მიმდინარე ანგარიშებს, რომლებიც ისტორიულად გრძელვადიანი ხასიათისაა.

გრძელვადიანი სესხები ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი საქართველოში. თუმცა, ქართულ ბაზარზე ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა იმ მოლოდინით, რომ სესხები დაფარვის ვადის ამოწურვისთანავე განახლდება. ამრიგად, აქტივების საბოლოო ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს ზემოთ წარმოდგენილი ანალიზისგან. ბანკი მოელის, რომ საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი გახანგრძლივდება.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მიმდინარე ნაშთები ასეთია:

	2024				2023			
	საერთო კონ- ტროლს უმაღლესი დაქვემდებ- რანგის ბარებული				საერთო კონ- ტროლს უმაღლესი დაქვემდებ- რანგის ბარებული			
	მფლობე- ლები	ხელმძღვა- ნელობა	საწარ- მოები	სხვა	მფლობე- ლები	ხელმძღვა- ნელობა	საწარ- მოები	სხვა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	520	–	3,535	–	755	–	1,255	–
მომხმარებლებზე გაცემული მთლიანი სესხები	–	–	8,185	281	–	3	–	–
გაუფასურების რეზერვი	–	–	(174)	–	–	(1)	–	–
მომხმარებლებზე გაცემული სესხები, წმინდა	–	–	8,011	281	–	2	–	–
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(7,804)	–	(640)	–	(8,168)	–	(14,394)	–
ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე	(56,506)	(1,699)	(19,728)	(4,277)	–	(1,736)	(72,371)	–
სხვა ვალდებულებები	–	–	(1)	–	–	–	(3)	–
სუბორდინირებული ვალი	(15,205)	–	(4,226)	–	(14,395)	–	(13,321)	–

დაკავშირებული მხარეების მიმართ ბანკის ვალდებულებები შეადგენს მისი მთლიანი ვალდებულებების 18%-ს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2023 წ.: 29%), რაც მნიშვნელოვან კონცენტრაციას წარმოადგენს.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავალი და ხარჯი:

	2024				2023			
	საერთო კონ-ტროლს უმაღლესი დამტკიცების რანგის ბარეზული				საერთო კონ-ტროლს უმაღლესი დამტკიცების რანგის ბარეზული			
	მფლობე-ლები	ხელმძღვა-ნელობა	საწარ-მოები	სხვა	მფლობე-ლები	ხელმძღვა-ნელობა	საწარ-მოები	სხვა
შემოსავალი								
საზღაურიდან და								
საკომისიო								
მოსაკრებლიდან	3	–	33	–	15	–	30	–
საკომისიო ხარჯი	(2)	–	(3)	–	(3)	–	–	–
საპროცენტო								
შემოსავალი								
მომხმარებლებზე								
გაცემული								
სესხებიდან	–	1	218	17	–	1	–	–
საპროცენტო								
შემოსავალი								
საკრედიტო								
დაწესებულებების								
მიმართ								
მოთხოვნებიდან	–	–	–	–	–	–	16	–
საკრედიტო								
დაწესებულებების								
წინაშე								
ვალდებულებების								
საპროცენტო ხარჯი	(70)	–	(542)	–	(51)	–	(572)	–
მომხმარებლების								
წინაშე								
ვალდებულებების								
საპროცენტო ხარჯი	(365)	(61)	(1,268)	(88)	–	(50)	(2,929)	–
სუბორდინირებული								
ვალის საპროცენტო								
ხარჯი	(692)	–	(943)	–	(666)	–	(666)	–
საკრედიტო ზარალის								
(ხარჯი)/შემოსულობა								
პროცენტიან								
აქტივებზე	–	1	(174)	–	–	–	(1)	–
მოდIFIცირებით								
განპირობებული								
ზარალი	–	–	–	–	(955)	–	–	–
პროფესიული								
მომსახურების								
გასამრჯელო	(3)	–	(32)	–	(27)	–	–	–
კორპორაციული								
წამახალისებელი								
ლონისძიებები	–	–	(9)	–	–	–	–	–

დაკავშირებული მხარეების მიმართ ბანკის ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი მისი მთლიანი საპროცენტო ხარჯის 18%-ია (2023 წ.: 26%).

26. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2024	2023
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	3,347	2,655

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა შედგებოდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს 5 და დირექტორთა საბჭოს 4 წევრისგან (2023 წ.: სამეთვალყურეო საბჭოს 5 წევრი და დირექტორთა საბჭოს 4 წევრი).

27. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგრძებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია (i) ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფა სეზ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნებთან და (ii) ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა. სეზ-ის მიერ დაწესებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან შესაბამისობის მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად საანგარიშო მოხსენების სახით, რომელშიც წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშებები და ხელმოწერილია ბანკის მთავარი ბუღალტრის ან ფინანსური დირექტორის მიერ, რის შემდეგაც იგზავნება სეზ-ში.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკი აკმაყოფილებდა ყველა გარე კაპიტალის მოთხოვნას.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით.

სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

კაპიტალის ჩარჩოს მიხედვით, კაპიტალის მოთხოვნები დაიყო პილარ 1-ის მოთხოვნებად, რომელიც ეხება ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი მინიმალურ მოთხოვნებს და პილარ 1-ით და პილარ 2-ით გათვალისწინებულ დამატებით ბუფერებად.

პილარ 1

- ▶ კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი (რომელიც შედიოდა საზედამხედველო კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებში) ცალკე გამოიყო და განისაზღვრა 2.5%-ის ოდენობით;
- ▶ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი ამჟამად დადგენილია 0.25%-ის ოდენობით;
- ▶ სისტემურობის ბუფერი დაინერგება სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკებისთვის ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში.

პილარ 2

- ▶ სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერმა ჩაანაცვლა უცხოურ ვალუტებში გამოხატული არაჰეჯირებული სავალუტო სესხების კონსერვატიული შეწონა;
- ▶ დაინერგება კონცენტრაციის რისკის ბუფერი სექტორული და ერთი მსესხებლის კონცენტრაციის რისკისთვის;
- ▶ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი დაინერგება ბანკის მიერ წარმოდგენილ სტრეს-ტესტების შედეგებზე დაყრდნობით;
- ▶ მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) ბუფერი ბანკის კონკრეტულ რისკებზე დაყრდნობით.

(ცხრილებში რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

27. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სეზ-ის მოთხოვნით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მთლიანი კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მინიმუმ 22.10%-ს უნდა შეადგენდეს, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – 17.93%-ს, ხოლო ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი – 14.78%-ს, და ეს კოეფიციენტები გამოთვლილი უნდა იყოს ბაზელ 3-ის მოთხოვნების შესაბამისად. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საზედამხებელო კაპიტალის კოეფიციენტი ასე გამოიყურებოდა:

		31 დეკემბერი, 2024 წ.	31 დეკემბერი, 2023 წ.
სააქციო კაპიტალი	18	136,800	136,800
გაუნაწილებელი მოგება		(25,640)	(27,340)
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები, წმინდა	12	(3,356)	(4,895)
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი/(ზარალი)		8,293	1,700
ძირითადი პირველადი კაპიტალი		116,097	106,265
პირველადი კაპიტალი		116,097	106,265
მეორადი კაპიტალი		32,278	16,135
დამატებითი კაპიტალი		–	–
სულ საზედამხებელო კაპიტალი		148,375	122,400
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები		643,135	586,989
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი		23.07%	20.85%
ძირითადი პირველადი კაპიტალის/პირველადი კაპიტალის			
ადეკვატურობის კოეფიციენტი		18.05%	18.10%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უახლოვდება მინიმალურ მოთხოვნას. ბანკი რამდენიმე ინიციატივით გამოდის, რომელთა მიზანია პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის გაუმჯობესება, რომლებშიც, სხვებთან ერთად, შედის:

- რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ოპტიმიზაცია: ეს მოიცავს მოზიდული სახსრების დოლარიზაციის შემცირებას და მათი ვადის გახანგრძლივებას, რის შედეგადაც შემცირდება სავალდებულო რეზერვის მოთხოვნები;
- დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვა: ბანკი ყიდის დასაკუთრებულ აქტივებს, რომ დაწიოს საკრედიტო რისკით კორექტირების ბუფერი და შეამციროს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები;
- ხარჯების ოპტიმიზაციის ზომები: ინერგება ხარჯების დაზოგვის სხვადასხვა ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს მომგებიანობას და გაამყარებს ბანკის კაპიტალის პოზიციას.

ხელმძღვანელობის აზრით, ზემოაღნიშნული ინიციატივების ერთობლიობა ბანკის უზრუნველყოფს საჭირო კაპიტალით, რომ გააგრძელოს თავისი ოპერაციები 2025 წლის შემდეგ. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგებების მომზადება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. მომზადების ეს საფუძველი გულისხმობს, რომ აქციონერებს აქვთ შესაძლებლობა და განზრახვა, რომ განახორციელონ ფინანსური მხარდაჭერა, რაც ბანკს საშუალებას მისცემს მოახდინოს აქტივების რეალიზება და ვალდებულებების დაფარვა ჩვეული საქმიანობის პროცესში.